# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№115 (9795) 2024 წლის 7 ოქტომბერი. ორშაბათი

ფასი 1 ლარი







ნინო ჭუმბურიძე

6-7

# იმ ქვეყანას ვტირი, რომელმაც ანტიკური ბერძნული სიბრძნე წარმოშვა...

არგონავტიკა

## მედეა

მითი და ისტორია



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში, ხალხმრავლობაში, როგორც იტყვიან, „ნემსი არ ჩავარდებოდა". პირადად ჩემთვის შვება იყო ამდენ წარმატებულ, სამშობლოს მსახურთა შორის ყოფნა.

თითქოს ახალი არაფერი ხდებოდა – წიგნის წარდგენა იყო, მაგრამ როგორი წიგნის? – „მედეა–არგონავტიკა – მითი და ისტორია", რომელსაც უამრავი ავტორი ჰყავს.

არ გამკვირვებია, რომ წიგნის წარდგენაზე ყველაზე მოკრძალებული იყო ცნობილი ექიმი, მედიცინის საპატიო დოქტორი ქალბატონი ნინო ჭუმბურიძე, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ წიგნი გამოცემულიყო და კიდევ ერთხელ გაცოცხლებულიყო უძველესი და უნიკალური კოლხეთი, არგონავტთა გზა იოლკოსიდან კოლხეთამდე (აიამდე), ყველაზე მეტად გამოკვეთილიყო მეფე აიეტის ასულის, მედიცინის ფუძემდებლის მედეას პიროვნება და საერთოდ, კოლხურ–იბერიული გენია.

**ვესაუბრებით ქალბატონ ნინო ჭუმბურიძეს.**

# ვულოცავთ საპატიო თბილისელობას!..



5 ოქტომბერს კიდევ 25 ღირსეული ქართველი გახდა „ბებერი ტფილისის" საპატიო მოქალაქე!

ვილი სანიოლი და კახა კალაძე

8

ლევან მგალობლიშვილი:

# მალე სოხუმში გიმასპინძლებთ!

**დიახ, დარწმუნებული ვარ, ჩვენი ცენტრალური ხელისუფლების სწორი პოლიტიკით, ძალიან მალე, ჩვენს აფხაზ დებთან და ძმებთან სოხუმში გიმასპინძლებთ, – განაცხადა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ლევან მგალობლიშვილმა ეთნოგრაფიულ მუზეუმში, სადაც „თბილისობის" დღესასწაულთან დაკავშირებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ორგანიზებით, „აფხაზური ეზო" მოეწყო.**



ლევან მგალობლიშვილმა თბილისს, თბილისელებს და ყველა კუთხის წარმომადგენლებს „თბილისობა" მიულოცა და ქალაქის მერს კახა კალაძეს და საკრებულოს თავმჯდომარეს გიორგი ტყემალაძეს მადლობა გადაუხადა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინფორმაციით, „თბილისობის" ფარგლებში, ეთნოგრაფიულ მუზეუმში წარმოდგენილი იყო აფხაზეთიდან დევნილი მეწარმეების პროდუქცია, მოეწყო ტრადიციული სამოსისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა, აფხაზური თემატიკის ფოტო მასალა და ბეჭდური გამოცემები, გასტრონომიული და კალიგრაფიული მასტერკლასები, ღვინისა და ტრადიციული კერძების დეგუსტაცია და ქვიშაზე მომზადებული ყავა სოხუმურად.

მოწვეული სტუმრების წინაშე ქართულ-აფხაზური მუსიკალური და ფოლკლორული წარმოდგენით აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „აფხაზეთი", აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ოტობაია" და გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი „გუმბათი" წარდგნენ.



აკადემიკოსი ავთანდილ არაბული:

## როცა საჯარო მოხელეს პასუხისმგებლობის დეფიციტი სჭირს

3

ისევ რუსთაველის სამეცნიერო ფონდის შესახებ

# მაავნებელი!

## აი, რა დონის გარეწარია, თქვენი „შუქურა", ამერიკელ–ევროპელებო!



ქართველი ერის უმრავლესობა მეხსიერების არმქონე იდიოტია.

3

გამოთაყვანებულთა „ევროპის სახალხო პარტია" კვლავ მიჰას პოლიტიკურ დევნაზე ლაყბობს

ალეკო ასლანიშვილი

## ბუტე, ბუტე, გაგებუტე!



4

ორენოვანი წიგნი–ალბომი

9



## გურამ კვარაცხელიას უკვდავება

## შალვა პაპუაშვილი:

# ამერიკის საელჩოს მეორე ქარდი აბსოლუტური დეზინფორმაციაა!



**არ ვიცი, ამ ქარდებს ვინ წერს, საელჩოს რომელი თანამშრომელი, მაგრამ ვურჩევდი ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, საკუთარი თანამშრომლების კვალიფიკაციას დააკვირდეს, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა განაცხადა.**

„აშშ-ის საელჩოს მიერ გავრცელებულ მეორე ქარდს რაც შეეხება, რომელშიც სულ სამი სიტყვა იყო – დემოკრატიები არ კრძალავენ ოპოზიციას, ეს აბსოლუტური დეზინფორმაციაა. წიგნების და კვლევების წაკითხვა არის საჭირო. ახლახან, ამ დღეებში, ბუნდესტაგში მზადდება კონსტიტუციური სარჩელი, რომელსაც ამზადებენ სახელისუფლო პარტიები, რომ მიმართონ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს, რათა აკრძალოს გერმანიაში სიძლიერით მეორე პარტია, ოპოზიციური პარტია. არ ვიცი, ამ ქარდებს ვინ წერს, საელჩოს რომელი თანამშრომელი, მაგრამ ვურჩევდი ამერიკის საელჩოს, რომ საკუთარი თანამშრომლების კვალიფიკაციას დააკვირდეს“, – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

შალვა პაპუაშვილი: 2020 წელს ყალბი დასკვნით ოპოზიციას მისცეს საბაბი რევოლუციური სცენარის განვითარებისთვის, ახლაც ვხედავთ, საით მიდიან ეს „ენჯეოები“, არის მოლოდინი, რომ იქნება იგივე სიყალბე.

ეს არის ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციებისგან პირდაპირი დასტური მათი პარტიულობისა, ვინაიდან ისინი ამას არა თუ დარღვევად ასახავენ, არამედ ახალისებენ ამ დარღვევას და იწონებენ, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა განაცხადა ჟურნალისტის კითხვის პასუხად, რომელიც ეხებოდა სამი ტელევიზიის გადაწყვეტილებას „ქართული ოცნების“ საარჩევნო კლიპის ეთერში არგაშვებასთან დაკავშირებით.

**„გავეცანი ამ ფაქტის არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივ შეფასებას. ეს ის „ენჯეოები“ არიან, რომლებთაც 2020 წელს, 4 ნოემბერს გამოაქვეყნეს ყალბი დასკვნა საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით. ვგულისხმობ საია-ს, „გამჭვირვალობას“, „სამართლიან არჩევნებს“ და სხვებს. ისინი პარალელური დათვლის ყალბ შედეგებს იშველიებდნენ, თითქოს გვიან გამოქვეყნდა არჩევნების შედეგები და ა.შ. თითქოს უბნების რვა პროცენტში იყო დისბალანსი – ამ ყალბი დასკვნის საფუძველზე ოპოზიციას მისცეს საბაბი რევოლუციური სცენარის განვითარებისთვის“,** – განაცხადა პაპუაშვილმა.

პაპუაშვილის თქმით, ახლაც ჩანს, საით მიდიან ეს „ენჯეოები“.

**„ეს არის პირველი ყალბი დასკვნა ამ არჩევნებთან დაკავშირებით, რაც ჩვენ ვნახეთ. თუ არ ვცდები, 20-მდე არასამთავრობო ორგანიზაციამ მოუწოდა, რომ სარეკლამო რგოლი არ გაუშვან და დარღვევა გაამართლა. ეს პირდაპირ აჩვენებს, რისთვის ემზადება ე.წ. ადგილობრივი დამკვირვებლების ჯგუფი ამ არჩევნების დროს. არის მოლოდინი, რომ 26-ის დღის ბოლოს ან 27-ში იქნება იგივე სიყალბე“, – განაცხადა პაპუაშვილმა.**

**ამ არჩევნებზე წყდება, ქვეყანას ეყოლება მთავრობა, რომელიც იმოქმედებს საქართველოს მოქალაქეების სახელით, თუ მთავრობა, რომელიც ქვეყნის გარედან შემოთვლილი დავალებებით მიიღებს გადაწყვეტილებებს.**

**ვისაც აქვს სურვილი, არჩევნებში მონაწილეობის, მიიღოს, პირიქით, ჩვენი მოწოდებაც ეს არის, 26 ოქტომბრის არჩევნები პრინციპულია, ამიტომაც, ჩვენი მოწოდებაა – „ქუდზე კაცი“,** – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა.

## რატი ბრეგაძე:

# არაფორმალურ მმართველად ჩამოყალიბებულა ქალბატონი პრეზიდენტი!



**არაფორმალურ მმართველად ჩამოყალიბებულა ქალბატონი პრეზიდენტი, დემოკრატიული განვითარების დაპირება ანტიდემოკრატიული და არაკონსტიტუციური მეთოდებით რამდენად ახლოა ევროპულ ღირებულებებთან, თავად განსაჯეთ, – ამის შესახებ იუსტიციის მინისტრი რატი ბრეგაძე სოციალურ ქსელში წერს.**

ბრეგაძე საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის განცხადებას ეხმაურება რომლის თანახმადაც, ზურაბიშვილს პრემიერ-მინისტრობის საკუთარი კანდიდატი ჰყავს.

„საქართველოს კონსტიტუციის თანახმად: 1. საქართველოს პრეზიდენტი არ შეიძლება, იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი; 2. პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას წარადგენს საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე პოლიტიკური პარტია.

შესაბამისად, თუ ოფიციალურად პრემიერის კანდიდატურის არც შერჩევაში და, არც წარდგენაში შეუძლია მონაწილეობა და ამ პროცესში დეკლარირებულად არაოფიციალურად მონაწილეობს, გამოდის, რომ არაფორმალურ მმართველად ჩამოყალიბებულა ქალბატონი პრეზიდენტი.

**P.S.** „დემოკრატიული განვითარების დაპირება ანტიდემოკრატიული და არაკონსტიტუციური მეთოდებით რამდენად ახლოა ევროპულ ღირებულებებთან თავად განსაჯეთ“, – წერს რატი ბრეგაძე სოციალურ ქსელში.

საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ კოალიციური მთავრობის დაკომპლექტების შემთხვევაში, უკვე ჰყავს პრემიერობის საკუთარი კანდიდატი.

## სპეციალისტები გამკაცრებულ რეგულაციებს მოითხოვენ

# მოზარდებში თამბაქოს მოხმარების საგანგაშო ტენდენციაა

**27 სექტემბერს, თბილისში, სასტუმრო „შერატონ გრანდ მეტეხი პალასში“, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მხარდაჭერით, გაიმართა შეხვედრა თემაზე: „თამბაქოს/ნიკოტინის სხვადასხვა ნაწარმის მოხმარება მოზარდებში: გამოწვევები და პასუხი საქართველოში“ – ამის შესახებ ინფორმაციას „თამბაქოს კონტროლის ალიანსი“ ავრცელებს.**

როგორც ალიანსში აღნიშნავენ, ბავშვებსა და ახალგაზრდებში თამბაქოს მოხმარება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის მუდმივი ზრუნვის საგანია, თუმცა ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, როდესაც თამბაქოსა და ნიკოტინის ახალი პროდუქტების აგრესიული მარკეტინგის მთავარი სამიზნე სწორედ მომავალი თაობაა.

„შეხვედრაზე დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა წარმოადგინა 2024 წელს ჩატარებული „ალკოჰოლისა და სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების შემსწავლელი ევროპის სკოლების კვლევის პროექტი“ (ESPAD) წინასწარი შედეგები.

**კვლევის მონაცემების თანახმად, 15-16 წლის მოზარდებში შემცირებულია ტრადიციული სიგარეტის მოხმარება როგორც სიცოცხლის, ასევე უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში; გაზრდილია ელექტრონული სიგარეტის მოხმარება სიცოცხლის განმავლობაში – 40% (2015 – 19%, 2019 – 32%) და უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში – 15% (2015 – 7%, 2019 – 9%); მზარდი ტენდენცია აქვს გასახურებელი თამბაქოს მოხმარებას სიცოცხლის განმავლობაში – 11% (2019 – 8%).**

თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრმა წარმოადგინა სავაჭრო ობიექტების მონიტორინგის შედეგები. 2024 წლისთვის შიდა ხილვადობის წესების დარღვევა 10.8%-მდე შემცირდა, თუმცა გაიზარდა ელ. სიგარეტების გამოფენის შემთხვევები. უმნიშვნელოდ, 9.4%-მდე გაიზარდა სავაჭრო ობიექტში თამბაქოს ნაწარმის რეკლამის დარღვევები (2023 წელს 8.8%). ამასთან, სოციალურ ქსელებში ცნობადი სახეები ელექტრონული სიგარეტის აქტიურ, უკანონო პოპულარიზაციას ეწევიან.

შეხვედრაზე განიხილეს თამბაქოს კონტროლის მიმდინარე პოლიტიკა და შეჯამდა უკანასკნელი წლების განმავლობაში თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებიც. აღინიშნა, რომ შესუსტდა თამბაქოს კონტროლის რეგულაციები და არსებული კანონმდებლობის აღსრულების, ისევე, როგორც თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის გაძლიერების ინიციატივები. კერძოდ, რამდენჯერმე გადავადდა თამბაქოს ნაწარმის სადა (იგივე სტანდარტიზებული) შეფუთვით რეალიზაციის მოთხოვნის ამოქმედების ვადა; გამარტივდა სტანდარტიზებული შეფუთვის ტექნიკური მოთხოვნები და დაწესდა კონკრეტულ პროდუქტებზე მორგებული გამონაკლისები; განახევრდა გადასახადები თამბაქოს ცალკეული ნაწარმებისთვის; შესუსტდა თამბაქოს ნაწარმის შეფუთვებზე სამედიცინო გაფრთხილებების დატანის წესები; ასევე, რამდენჯერმე შეფერხდა თამბაქოს კონტროლის პოლიტიკაში თამბაქოს ინდუსტრიის ჩაურევლობის შესახებ ნორმატიული აქტის მიღების პროცესი, ისევე, როგორც გაჭიანურდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს ნაწარმით უკანონო ვაჭრობის ოქმზე მიერთების საკითხის ინიციირება და კანონით განსაზღვრული კანონქვემდებარე აქტების დროულად მიღების პროცესი.

შეხვედრის დიდი ნაწილი დაეთმო დისკუსიას დამსწრე საზოგადოების და ექსპერტების მონაწილეობით. საგანგაშოდ შეფასდა ახალგაზრდებში თამბაქოს მოხმარების მზარდი ტენდენციები და თამბაქოს ინდუსტრიის ჩარევა თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის შემუშავებაში. ცალსახად გამოიკვეთა თამბაქოს ინდუსტრიის ჩარევის აკრძალვის, დასუსტებული კანონმდებლობის და თამბაქოს ახალი პროდუქტების რეგულაციების თვისობრივი გაძლიერების აუცილებლობა. ამ უკანასკნელი მიმართულებით საკანონმდებლო ორგანომ და ხელისუფლებამ უნდა განიხილოს შემდეგი ღონისძიებების გატარება:



არომატებისა და დანამატების (გარდა თამბაქოს არომატისა) აკრძალვა თამბაქოს/ნიკოტინის ყველა ნაწარმში.ნიკოტინის შემცველობის 95%-ით შემცირება თამბაქოს ნებისმიერ ნაწარმში.2010 წლის შემდეგ დაბადებულთათვის თამბაქოს/ნიკოტინის პროდუქტების მიყიდვის აკრძალვა 2028 წლიდან, მათი სრულწლოვნების ასაკიდან.თამბაქოს ნაწარმის მიყიდვის ზღვრული ასაკის ყოველწლიური ზრდა.ლიცენზირების შემოღება არა მხოლოდ კონკრეტული თამბაქოს ნაწარმის წარმოებაზე, არამედ ყველა სახის თამბაქოს ნაწარმის ვაჭრობასა და იმპორტზეც.შემდგომში ლიცენზირებული სავაჭრო ობიექტების რაოდენობის 95%-ით შემცირება 2040 წლამდე.თამბაქოს/ნიკოტინის ყველა ნაწარმზე გადასახადების გათანაბრება და სისტემატური ზრდა, ვიდრე მოხმარება არ შემცირდება 5%-მდე. თამბაქოს ნაწარმით უკანონო ვაჭრობის აღმოფხვრის ოქმთან მიერთება.თამბაქოს ყველა სახის ნაწარმის შეფუთვის სტანდარტიზება და სამედიცინო გაფრთხილებების დადგენა გამონაკლისების გარეშე. აღნიშნული ღონისძიებების გატარებით მნიშვნელოვნად შემცირდება თამბაქოს მოხმარება მოზარდებში და გაუმჯობესდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მდგომარეობა“, – აღნიშნულია „თამბაქოს კონტროლის ალიანსის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

**Primetime.ge**

# ვუბრუნდებით დაბეჭდილს

## როცა საჯარო მოხელეს პასუხისმგებლობის დეფიციტი სჭირს

### (ისევ რუსთაველის სამეცნიერო ფონდის შესახებ)

ამ ორი თვის წინ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოვაქვეყნეთ მკვეთრი რეპლიკა, რომლითაც რუსთაველის სამეცნიერო ფონდისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მესვეურებს, მინიმუმ, არაობიექტურობაში ვდებდით ბრალს; კერძოდ, პასუხს მოვითხოვდით კითხვაზე:

როგორ მოხდა, რომ ამ ზაფხულის საკონფერენციო გრანტების კონკურსზე უარი უთხრეს მე-4 ქართველოლოგიურ კონგრესს, წარმოდგენილს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ, მაგრამ გულუხვად დააფინანსეს ნახევარი წლის წინ შექმნილი სამკაციანი კერძო „პლატფორმები“?! („სამეცნიერო პლათფორმა“ - ასეთი ქართულით წერია მათი სახელწოდება!)

სწორედ ამ ქმედების შესატყვისი იყო რეპლიკა ადრესატების მისამართით: „კეთილ ინებონ ახლა აღნიშნულ უწყებათა ხელმძღვანელებმა, გამოიყვანონ ამგვარ საქმეებში ჭიმოჭრილი რუსთაველის ფონდის ე.წ. ექსპერტები, განათლების სამინისტროს მიერ გარანტირებულ კონფიდენციალობის ფარდას რომ ამოჰფარებიან, და სახელმწიფო ბიუჯეტის შემქნელი ქართველი საზოგადოების წინაშე ნათლად განმარტონ: რა ნიშნით აჯობინეს „ენჯეოს“ მიერ შემოთავაზებული „სტრუქტურული ტრანსფორმაცია“ და „რეალპოლიტიკა“ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ წარმოდგენილ, უკვე ტრადიციულ, მე-4 ქართველოლოგიურ კონგრესს, რომლის ფარგლებშიც საქართველოს უნდა სწვეოდნენ სახელოვანი მკვლევრები ჩვენი ენისა, ისტორიისა და კულტურისა, ნამდვილი გულშემატკივრები ჩვენი ქვეყნისა...“

აგერ, ორი თვე გავიდა და განმარტება ჯერაც არა ჩანს. დასახელებული სამინისტროს პირველ პირს პასუხს უკვე ვეღარ მოვთხოვთ, მაგრამ უშუალოდ გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფო სტრუქტურის – „რუსთაველის სამეცნიერო ფონდის“ ხელმძღვანელი ამ პასუხისმგებლობას თავს ვერ დააღწევს, თუნდაც ათჯერ მეტი დრო გავიდეს. მით უფრო, რომ მისგან დაზარალებული მე-4 ქართველოლოგიური კონგრესი მაინც გაიმართა და ყველამ დაინახა, თუ რა მასშტაბისა და მნიშვნელობის სამეცნიერო ღონისძიებაზე იყო ლაპარაკი.

ამ რეპლიკის სათაურად შემთხვევით არ გამოგვიტანია სამედიცინო შინაარსის შესიტყვება - „დეფიციტი სჭირს“. როგორც გახმაურდა, ფართო საზოგადოებისთვის უცნობი ბატონი დოქვირი მედიცინის სფეროს წარმომადგენელი ყოფილა (!) და იქნებ ამ სიტყვებით მაინც დაინახოს თავისი მდგომარეობის უხერხულობა იმ სახელმწიფო საგრანტო ფონდში, რომელსაც დიდი რუსთაველის სახელი ჰქვია; უფრო სერიოზულად შეაფასოს ის, რომ მეცნიერების მიმართულებით გამომეტებული სახელმწიფო სახსრების მნიშვნელოვანი წილი, საკმაოდ დიდი ფული, სწორედ მისი უწყების განკარგულებაში ექცევა და პირველმავე პრეცედენტმა ძალზე უხერხულად წარმოაჩინა მისი პიროვნული დამოკიდებულება ამ მოვალეობის მიმართ.

ცხადია, ჩვენ მის პიროვნებაზე ზრუნვა არ გვამოძრავებს. ჩვენ გვაწუხებს ბედი ამ ეროვნული სამეცნიერო ფონდისა, რომელიც სულ უფრო და უფრო ემსგავსება დედალოსის ლაბირინთს, რომელშიც ჩვენი მეცნიერები უმეტესად ამაოდ ეძებენ გამოსავალს... ხოლო ქართველოლოგიისათვის რუსთაველის სახელის ეს სახელმწიფო ფონდი, ერთადერთი შესაძლებლობა ამ მიმართულებით, ვერა და ვერ გამოვიდა ავი დედინაცვლის პოზიციიდან!

**ჩვენ არანაკლებ გვაწუხებს ის, რომ უპასუხისმგებლო მოხელეები დიდ ზიანს აყენებენ ქვეყნის პრესტიჟს.**

დიახ, სახელმწიფო მოხელე, რომელიც პასუხისმგებლობის დეფიციტს განიცდის, სერიოზულად აზარალებს სახელმწიფოს ინტერესებს. პასუხისგება თავისი პირვანდელი მნიშვნელობით დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემას გულისხმობს. ხოლო თუ პასუხისმგებელი პირი ამას თავს არიდებს, აუცილებლად დადგება მისი პირდაპირი პასუხისმგებლობის საკითხი!..



აკადემიკოსი

**ავთანდილ არაბული**

---

# მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მფლობელი – ნათია უჩავა



ცნობილია 2024 წლის პედაგოგის ეროვნული ჯილდოს მფლობელი, რომელიც 20-წევრიანმა ჟიურიმ გამოავლინა. ჯილდოს მფლობელი გახდა ნათია უჩავა. ის თბილისის 126-ე საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, ბუნებისმეტყველების მასწავლებელია.

7-წლიანი ტრადიცია გრძელდება – სამეტაპიანი კონკურსის შედეგად გამოვლინდა ხუთი ფინალისტი, რომელთაგან საუკეთესო დღეს განათლების სფეროს წარმომადგენლებით, მეცნიერებით და პედაგოგებით დაკომპლექტებულმა ჟიურიმ დაასახელა. ფინალისტებს შორის ორი თბილისის, სამი კი რეგიონების სკოლების პედაგოგი იყო.

ეროვნული ჯილდოს მფლობელი ფულადი პრემიის სახით 15 000 ლარსაც მიიღებს. 7 წლის წინ დაფუძნებული კონკურსის მთავარი მიზანი პედაგოგების პროფესიის პრესტიჟის და პოპულარიზაციის ზრდაა. წლის მასწავლებლის სტატუსის მისაღებად რამდენიმე კრიტერიუმის დაკმაყოფილებაა საჭირო. მათ შორისაა სწავლის პროცესში გამოყენებული შემოქმედებითი უნარები, კრეატიულობა, პროფესიული მიდგომები. კონკურსი ყოველწლიურად ყველა ქალაქის და რეგიონის პედაგოგებს აერთიანებს.

---

# კონსტანტინე გამსახურდია ბაქოში აზერბაიჯანის ლიტერატურის მუზეუმს ესტუმრა.




**ეროვნული ბიბლიოთეკის ინფორმაციით, გაიმართა შეხვედრა აზერბაიჯანის ლიტერატურის მუზეუმის დირექტორ რაფაელ ჰუსეინოვთან.**

შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და აზერბაიჯანის ლიტერატურის მუზეუმს შორის მომავალ თანამშრომლობაზე ისაუბრეს.

„დავათვალიერე ბაქოს ლიტერატურის მუზეუმის მართლაც შთამბეჭდავი შენობა. გარედან აზერბაიჯანელი მწერლებისა და პოეტების ქანდაკებებია, შიგნით კი მათი პორტრეტები ფერწერული ტილოების სახით, ვიტრაჟები მათი გამოსახულებებით, არტეფაქტები. შევხვდი მუზეუმის დირექტორს, პროფესორ რაფაელ ჰუსეინოვს. ბევრი ვისაუბრეთ ქართულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობებზე“, – განაცხადა კონსტანტინე გამსახურდიამ.

---

# შალვა კილურაძის პირადი არქივი

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივს შალვა კიღურაძის შვილმა ნინო კიღურაძემ მამის ბიოგრაფიისა და მოღვაწეობის ამსახველი საარქივო დოკუმენტები გადასცა.**

ინჟინერი შალვა კიღურაძე სტალინურ რეპრესიებს შეეწირა. თბილისის წყლით მომარაგების პროექტის ხელმძღვანელი ნატახტრის წყალსადენის გახსნიდან 4 წელიწადში, 1937 წელს, დააპატიმრეს, ბრალად დასდეს თბილისის წყლის მოწამვლა და დახვრიტეს. მასთან დაკავშირებით არქივებში ამ დრომდე მწირი ინფორმაცია იყო დაცული.

ეროვნული არქივისათვის გადაცემულ დოკუმენტებს შორისაა შალვა კიღურაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული მასალა: ფოტოები, წერილობითი დოკუმენტები, წიგნები და საგაზეთო პუბლიკაციები.



შალვა კიღურაძე 1897 წელს ოზურგეთის მაზრის სოფელ ვანისქედში დაიბადა. 1915-1917 წლებში იყო სოციალ-ფედერალისტთა რევოლუციურ პარტიაში, საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში მუშაობდა საგანმანათლებლო დაწესებულებებში. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის ერთ-ერთი პირველი სტუდენტი.

1927 წლიდან სათავეში ჩაუდგა დედაქალაქის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის საქმიანობას. მის სახელს უკავშირდება ბალნეოლოგიური კურორტის მშენებლობა, ვერის დაღმართის რეკონსტრუქცია, თამარ მეფის (ყოფილი ჩელუსკინელების) ხიდის მშენებლობა. 1930-იანი წლების დასაწყისში „ნატახტარმშენის“ უფროსად დაინიშნა და თბილისის სასმელი წყლით მომარაგების პრობლემის გადაჭრა წარმატებით მოახერხა.



შალვა კიღურაძის პირადი ფონდი უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ფონდების ნაწილი გახდა. დოკუმენტების საარქივო წესით დამუშავების შემდეგ ის დაინტერესებული პირებისათვის მკვლევართა დარბაზის მეშვეობით იქნება ხელმისაწვდომი.

# ბუტე, ბუტე, გაგებუტე!



**მათმა ქალებმაც კი ბუნებრივი წესი არაბუნებრივით შეცვალეს, ასევე კაცებმაც მიატოვეს ქალებთან ბუნებრივი ცხოვრების წესი და გულისთქმით გახურებულნი აღერივნენ ერთმანეთს, მამაკაცი მამაკაცთან სჩადიოდა სასირცხვოს და მიიღეს თავიანთი ცდუნების საკადრისი საზღაური.**

პავლე მოციქული

**ბიბლია, ძველი აღთქმის მოსეს ხუთტომეული (მე-19 თავი) მოგვითხრობს უჩვეულო ამბავს, რომელიც ერთადერთი და განუმეორებელია ამ ვეება წიგნში. ეს არის მკვდარი ზღვის სამხრეთის ქალაქების სოდომისა და გომორის ისტორია, კერძოდ, მათი დაღუპვა, დედამიწის პირისაგან აღგვა უშუალოდ ღვთის მიერ. ეს ამბავი მოტანილია როგორც ღვთის გმობის, უწმინდურობის, შეცოდების მაგალითი, ხოლო მისი დასჯა ბიბლიაში აღწერილ კატასტროფათაგან მსოფლიო წარღვნის შემდეგ მეორე ადგილს იკავებს სასჯელის მასშტაბით, სიმკაცრითა და შემზარაობით. ისიც მისანიშნებელია, რომ წარღვნის შემდეგ უფალმა აღადგინა სიცოცხლე, კვლავ გაამრავლა კაცობრიობა, სოდომსა და გომორში კი ყველაფერი ხელუხლებლად შემორჩა, როგორც ღვთის სასჯელის ნათელი მაგალითი.**

**უფალმა ეს ორი აყვავებული ქალაქი მისი მცხოვრებლების მასობრივი, ცხოვრების წესად ქცეული მამათმავლობისთვის დასაჯა, დასაჯა არა წარღვნითა და მიწისძვრით, არამედ გოგირდისა და წუნწუხის წვიმით, რომლის სიმყრალეც ამ ცოდვის სიმყრალის შესატყვისი იყო. საშინელი სასჯელის უტყვი მოწმეა მკვდარი ზღვა, ერთადერთი დედამიწის ზურგზე, რომელშიც სიცოცხლე არ არის...**

**ქრისტიანობის მთავარი მესაძირკვლე პავლე მოციქული რომაელთა მიმართ ეპისტოლეში აღშფოთებული და განრისხებული ამ ამბავს ასე განსჯის: „მათმა ქალებმაც კი (ლაპარაკია სოდომელ-გომორელებზე – ა.ა.) ბუნებრივი წესი არაბუნებრივით შეცვალეს, ასევე კაცებმაც მიატოვეს ქალებთან ბუნებრივი ცხოვრების წესი და გულისთქმით გახურებულნი აღერივნენ ერთმანეთს, მამაკაცი მამაკაცთან სჩადიოდა სასირცხვოს და მიიღეს თავიანთი ცდუნების საკადრისი საზღაური. აღვსილნი ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებით, სიძვით, შურით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობით, მაზეზღარობით, ავსიტყვანი, ცილისმწამებელნი, უყვარელნი, ულმობელნი და უწყალონი, რომელთაც იციან ღვთის სამართალი, რომ ამნაირ საქმეთა ჩამდენნი სიკვდილის ღირსნი არიან, მაგრამ არათუ თვითონ სჩადიან, არამედ ჩამდენთაც თანაუგრძნობენ“.**

**ბიბლიის მონათხრობი ამზიდან ერთ-ერთი მთავარი დასკვნა ის არის, რომ ადამიანს ოდითგან მოსდგამს შეცოდებანი, რისთვისაც ღმერთი მკაცრად სჯის. სოდომში ოცი კაციც კი არ აღმოჩნდა მართალი, თორემ ღმერთი მას არ დააქცევდა, აკი ამის პირობა მისცა აბრაამის ძმისწულს ლოტის. ისე რომ, პატრიარქები, რომლებიც ძველი წელთაღრიცხვის XV-V საუკუნეებში წერდნენ ამ ბრძნულ წიგნს, იძულებულნი გახდნენ ეს უსიამოვნო და სამარცხვინო, ოღონდ ჭკუის სასწავლი ამბავიც შეეტანათ მასში.**

მაგრამ კაცობრიობამ ჭკუა მაინც ვერ ისწავლა, XXI საუკუნეში ვართ და სოდომური ცოდვა – მამათმავლობა, ლესბოსელობა კი არ კლებულობს, არათუ აღიგავა, არამედ უფრო მომძლავრდა, სულაც სამოქალაქო უფლებების თანაბრობას მოითხოვს... დღეს ამ შემოტევასთან უხდება პირისპირ დგომა კაცობრიობას. უთანაბროა ეს პირისპირ დგომა, მრავალი ქვეყნის ხელისუფალნი უკვე დანებდნენ, მიიღეს კანონები ერთსქესიანთა ქორწინების, ასეთი „ოჯახებისთვის“ ბავშვის შვილობის, პროპაგანდისტული გეიაღლუმების ჩატარების შესახებ...

საქართველოს ხელისუფლებამ, რომელსაც უამრავი პრობლემა აქვს და მაინც კბილებითა და ფრჩხილებით ებღაუჭება მორყეულ მამა-პაპურ ტრადიციებს, ახლახან მიიღო კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“, რომელიც სრულიად მართებულად ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ კანონად აღიქვა ხალხმა და მხარი დაუჭირა. სამაგიეროდ, მას ხიშტით შეხვდნენ ოპოზიცია და მისი თვითმარქვია ლიდერი სალომე ზურაბიშვილი. კანონის მიღების შემდეგ პარლამენტმა, წესისამებრ, იგი ხელმოსაწერად გადაუგზავნა საქართველოს პრეზიდენტს. ამ უკანასკნელმა კი პარლამენტიც, კანონიც და მისი მომლოდინე ხალხიც, როგორც მოსალოდნელი იყო, ფეხებზე დაიკიდა, არც ვეტო დაადო, არც შენიშვნები დაურთო, ისე დააბრუნა უკან. სხვა რა გზა იყო, მას, კანონის თანახმად, ხელი პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა მოაწერა და გამოქვეყნებიდან 60 დღეში შევა ძალაში.

როგორც ვთქვით, ეს კანონი შინა და გარე ოპოზიციამ მკვეთრად გამოხატული მტრობით მიიღო, იგი მიიჩნია ლგბტ თემის უფლებების შეზღუდვად და ატყდა საყოველთაო ხმაური. თვით გაეროს აივ/შიდსის გაერთიანებულმა პროგრამამ, ადამიანის უფლებათა გაეროს უმაღლესი კომისრის ოფისის ხელმძღვანელობამ დისკრიმინაციული უწოდეს და საქართველოს ხელისუფლებას ლგბტ უფლებების შემზღუდავი კანონის გაუქმებისკენ მოუწოდეს: ეს კანონი ძირს უთხრის საქართველოს ძალისხმევას შიდსის აღმოფხვრისა და სხვა ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებითო! მათი მთავარი აღმოჩენაა: „სტიგმა კლავს, ისევე როგორც სოლიდარობა იხსნის სიცოცხლეს“. (შეგახსენებთ: სტიგმა-დაღი, ანუ ნეგატიური ნიშანი, რომელიც ადამიანს არასრულფასოვანს, ნორმალურ ადამიანზე ნაკლები ღირებულების მქონედ აქცევს. ინდივიდი შეიძლება იყოს სტიგმატიზირებული სხვადასხვა ნიშნით-გენდერი, რასა, სექსუალური ორიენტაცია, სხეულის წონა და სხვა).

აქედან მხოლოდ ერთი სიბრძნე გამოსჭვივის: დალოცვილო, თუ იცი, რომ სტიგმა კლავს, მე კი ნუ შემაგონებ, რომ არასწორი ორიენტაციის მქონე ადამიანს ველოლიავო, იმას დაეხმარე ორიენტაციის გასწორებაში!

ის კი არა, აი, რას წერს გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი: „საქართველომ ახლახან ანტი ლგბტ კანონი მიიღო, რაც ნიშნავს, რომ იგი ევროპას შორდება. ეს კანონი დისკრიმინაციულია და ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს არღვევს“.

**გადაირევი კაცი! რას ბულისხმობს ჰერ შოლცი ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებში? კაცის მიერ კაცის ცოლად მოყვანას თუ ქალის ქალზე დაქორწინებას?**

არსებობს ხალხური სკაბრეზული ანდაზა – „ვირო, მადლიო“... ცოტა უხერხული კია, მაგრამ სწორედ ეს ანდაზა გამახსენდა, როცა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ძალისხმევა გახმაურდა ორი არასამთავრობოსათვის დადებული სასჯელის გაუქმების თაობაზე.

ამას წინათ (24 სექტემბერს) ანტიკორუფციულმა ბიურომ არასამთავრობო ორგანიზაციები: ეკა გიგაურის „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ და ხათუნა ლაგაზიძის – „აირჩიე ევროპა“ გაცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტებად ცნო და მათზე დაწესდა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის III თავით გათვალისწინებული შეზღუდვები. „ბუნებრივია“, ამ ღონისძიებას ქვეყანაში ოპოზიციის ხმაშეწყობილი ღრიანცელი მოჰყვა (საქართველო სწორედ რომ ღრიანცელების ქვეყნად იქცა!), არიქა, არასამთავრობოებს ახრჩობენ, ამ ორს ხვალ ათეულები მიჰყვებიანო!

ამ ღრიანცელმა შთააგონა (აიძულა?) საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე მისთვის უჩვეულო და მოულოდნელი ნაბიჯი გადაედგა, წინადადებით მიემართა ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელ რაჟდენ კუპრაშვილისთვის, იქნებ შეცვალოო მიღებული გადაწყვეტილება „სახელმწიფო ინტერესების“ და პირველ რიგში, საარჩევნო პერიოდში გარე მანიპულაციების თავიდან არიდების მიზანშეწონილობიდან გამომდინარეო. ანტიკორუფციულმა ბიურომ პრემიერის წინადადება გაითვალისწინა და გადაწყვეტილება შეცვალა. თუმცა, რაჟდენ კუპრაშვილმა ისიც თქვა, არც ერთი მიღებული გადაწყვეტილებით არ იზღუდება ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ არჩევნებზე დაკვირვების უფლებაო. აღნიშნულ საკითხზე გამოთქმული ბრალდებები ოდენ სიცრუე და სპეკულაციაა, ერთადერთი მოთხოვნა იყო პოლიტიკური მიზნით გაწეული დანახარჯების საზოგადოებისათვის გასაჯაროვებაო. მანვე აღნიშნა, რომ ამ ამბავში ევროპარლამენტის დელეგაციაც იყო ჩართული. საბოლოოდ შედეგი ის დადგა, რომ ზემორე ორგანიზაციებს ჯიუტად არ სურთ საზოგადოებას გაუმხილონ, თუ რაში ხარჯავენ ათობით მილიონ ლარს, რა ფინანსური ინტერესები დგას, მათ შორის, საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის ვიზალიბერალიზაციის შეჩერების მიზნით გაკეთებული განცხადებების მიღმა.

აქ პირადად ჩემთვის მთავარი ის არის, რომ ირაკლი კობახიძემ („ოცნებამ“) ტაქტიკური სვლა გააკეთა და თავიდან აირიდა კიდევ ერთი გამწვავება. ვისაც ეს უნდა დაეფასებინა, იმან არ დააფასა და არც ჭკუა ისწავლა, თავის გამარჯვებად მიიჩნია ბიუროს შეცვლილი გადაწყვეტილება. ის ანდაზაც, ზემოთ რომ ვახსენე, სწორედ ასეთ ვითარებაზეა მორგებული.

მოკლედ, ქვეყანა არეულია. ამით, უპირველეს ყოვლისა, სასამართლოს მიერ იმპიჩმენტირებული პრეზიდენტი სარგებლობს, აუღერია



# მავნებელი!

თავი და ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა – ქალამნად. ფეხებზე ჰკიდია, თუ რის უფლება აქვს და რისი – არა. კონსტიტუციურად ხომ მომიგეთ სასამართლო, ახლა მიყურეთ თქვენო და ევროპაში გაიჭრა, მაგრად შეინახეთ, რომ თქვენი ნებართვის გარეშე ქვეყნიდან გასვლის უფლება არ მაქვსო. წავიდა და კოლეგა პრეზიდენტებს ჩამოუარა, შეხვდა შტაინმაიერს (გერმანია), დუდას (პოლონეთი), შარლ მიშელს (ევროსაბჭო), ურსულა ფონ დერ ლაიენს (ევროკომისია), მაკრონს (საფრანგეთი). სხვათა შორის, ამ შეხვედრისას პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა სინანული გამოთქვა იმ კანონების გამო, რომლებმაც „საქართველოს ევროპული ტრაექტორიიდან გადაახვევინეს“ და იმედი გამოთქვა, რომ „ოქტომბრის არჩევნები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარდება და ქვეყანას საშუალებას მისცემს ევროპულ გზას დაუბრუნდეს“.

**ანუ, რა გამოდის? თუ „ოცნება“ გაიმარჯვებს, არჩევნები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად არ ჩატარებულა, მუსიე მაკრონი? წინასწარ ეჭვქვეშ აყენებთ არჩევნების შედეგების სამართლიანობას?**

ახლა ევროკავშირის მხრიდან კიდევ ერთი წინასაარჩევნოდ ამოქმედებული ბერკეტი. როგორც ევროკავშირის ელჩმა საქართველოში პაველ ჰერჩინსკიმ მედიას აცნობა, ჯერ კიდევ ივნისში ჰქონიათ შიდა განხილვა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან, თუ როგორ ეპასუხათ საქართველოს ხელისუფლების „არამეგობრული“ დამოკიდებულებისათვის და გადაწყვიტეს, რომ შეაჩერონ ყველა მაღალი რანგის შეხვედრა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

**ესეც შენი ევრომეგობრობა!**

ნეტა ამასთან ხომ არ არის კავშირში უკანასკნელ ჟამს დამკვიდრებული ამერიკის საელჩოს ჩვენს ხელისუფლებასთან კომუნიკაციის ერთობ უცნაური ფორმა-ფეისბუკ ეპისტოლეები, ანუ „ქარდები“. უკვე რამდენიმე დღეა საქართველოში აშშ საელჩო სოციალურ ქსელში პოსტებითა და „ქარდებით“ ეხმაურება ქვეყნის ხელისუფლების მიერ გატარებულ პოლიტიკასა და ქართველი მაღალჩინოსნების მიერ გაჟღერებულ მთავარ გზავნილებს.

**ბუტბე-ბუტბე, გაგებუტბე!**

ეს მოვლენა – პოლიტიკური ბუტიაობა შეუმჩნეველი არ დარჩენია ხელისუფლებას, რასაც სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული მამუკა მდინარაძის მიმართვაც ადასტურებს: „მოვუწოდებთ ამერიკის საელჩოს, დაიბრუნოს გვერდის მართვის ფუნქცია „ნაცმოძრაობისაგან“...

საინტერესოა, კიდევ რა აქვს ზაგაჟნიკში ჩვენი ოპოზიციის პატრონებს აღმა-დაღმა? 26 ოქტომბრამდე დარჩენილ მცირე დროში, ალბათ, მერეხივით დაგვატყდება თავს ამ საქმეში ჭიპმოჭრილ უცხოელ „დამკვირვებელთა“ მთელი შემოქმედება.

**თუმცა, რომელი უცხო დამკვირვებელი მოიფიქრებდა იმას, რაც ჩვენმა რეგვენმა გუბაზ სანიკიძემ გაგვიმხილა იმ დღეს. იჯდა ტელესტუდიაში ეს მუცელა კაცი და გვაშინებდა, არჩევნებში „ოცნებამ“ რომ გაიმარჯვოს, საქართველო დაიცლებაო, მერე უფრო დააზუსტა, საქართველო სასაფლაოდ გადაიქცევაო. რა უნდა უთხრა ამ ვითომ განათლებულ, ვითომ პატრიოტ კაცს? მისთვის ყველაზე მორგებული სასჯელი ენის ყუნწში მოჭრაა, მაგრამ რომ არ გამოდის! არადა, სხვაგვარად ამ გლახად ენაადგმულ გოდორს ვერ გააჩერებ!**

დაბოლოს! „ვივამედის“ ციხეში მჯდომი მიშა სააკაშვილი ქადაგად არის დავარდნილი. აი, მისი ბოლო „დაკვირვება“: ბიძინა ივანიშვილმა ოთხჯერ მეტი ადამიანი გაიყვანა საქართველოდან, ვიდრე შაჰ-აბასმა. ივანიშვილი არ არის მშვიდობის მტრედი. ივანიშვილს მოაქვს ნგრევა, ოჯახების განადგურება და სიღარიბე.

და აქვე წამოაყენა ახალი წინადადება: შეიქმნას „არჩევნების მოხალისეთა ინსტიტუტი“.

**„ღმერთო, შენ გვიშველე!**



**ალეკო ასლანიშვილი**

# აი, რა დონის გარეწარია, თქვენი „შუქურა“, ამერიკელ-ევროპელებო!

## მიხეილ სააკაშვილი: 15 ოქტომბერს რუსები ივანიშვილთან ერთად აპირებენ მორიგი „ტრიუკის“ ჩატარებას — ჩაჰყავთ აფხაზები და ოსები მოსკოვში, რათა შექმნან „საქართველოსთან შერიგების“ იმიტაცია




**15 ოქტომბერს რუსები ივანიშვილთან ერთად აპირებენ მორიგი „ტრიუკის“ ჩატარებას. ჩაჰყავთ აფხაზები და ოსები მოსკოვში, რათა შექმნან „საქართველოსთან შერიგების“ იმიტაცია.“ – ამის შესახებ მსჯავრდადებული საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სოციალურ ქსელში წერს:**

„ამ ორი იდიოტის დასაცინი რომ გახდება მთელი ქართველი ერი – აფსუა სეპარატისტებს ჟრიამული აქვთ ატეხილი ივანიშვილის განცხადების გამო, რომ ყველაფერი სააკაშვილის და „ენმ“-ის ბრალია და აცხადებენ, რომ ამ განცხადებას უკვე მოყვა საოკუპაციო ხელისუფლებისთვის სასარგებლო შედეგები და თუ ივანიშვილი დარჩა, მას მოჰყვება აფხაზეთის სრულფასოვანი აღიარება.

აბა მშვიდობის მტრედები და სინამდვილეში საქართველოს მნგრეველებო გამოდით, მინდა სათითაოდ დაგთვალოთ!

გუშინ რუსეთის დაზვერვის უფროსმა ნარიშკინმა პირდაპირ მხარი დაუჭირა ივანიშვილს. 15 ოქტომბერს რუსები ივანიშვილთან ერთად აპირებენ მორიგი „ტრიუკის“ ჩატარებას. ჩაჰყავთ აფხაზები და ოსები მოსკოვში რათა შექმნან „საქართველოსთან შერიგების“ იმიტაცია.

რუსეთი, რომელმაც შექმნა უამრავი ტრაგედია აფხაზეთში და ცხინვალში, ჩვენ რომ ენერგიულად არ გვემოქმედა, გვართმევდა აჭარასაც. ახლა შეეცდება მშვიდობის მტრედის როლის მორგებას 10 დღით იმაზე გათვლით, რომ ქართველი ერის უმრავლესობა მეხსიერების არმქონე იდიოტია.

ყველას ვინც ამ ჩემს პოსტს წაიკითხავს მინდა ვთხოვო, დაელაპარაკონ ყველა ახლობელს, ნაცნობს და განუმარტოს ამ „ტრიუკის“ საფრთხე.“

**(სტილი დაცულია)**

# გამოთაყვანებულთა „სახალხო პარტია“ კვლავ მიჟას პოლიტიკურ დევნაზე ლაყბობს

**მაშინ, როდესაც სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მიხეილ სააკაშვილის მიმართ განხორციელებული მართლმსაჯულება სანდრო გირგვლიანის გარდაცვალებისა და ვალერი გელაშვილზე თავდასხმის სისხლის სამართლის საქმეებზე იყო სამართლიანი და სათანადო მტკიცებულებებით გამყარებული, ევროპის სახალხო პარტია (EPP) საქართველოს მთავრობას მაინც მოუწოდებს, დაასრულოს პოლიტიკური დევნა და უპირობოდ გაათავისუფლოს მიხეილ სააკაშვილი.**



ევროპის სახალხო პარტიის რეზოლუციაში წერია, რომ „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერი EPP სერიოზულად არის შეშფოთებული საქართველოში დემოკრატიული უკუსვლით, ეს მაშინ როდესაც სხვადასხვა საერთაშორისო მონაცემებისა თუ ინდექსების მიხედვით, საქართველო მოწინავე პოზიციებზეა და ხშირ შემთხვევაში ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსაც კი უსწრებს მონაცემებით.

პარადოქსია, თუმცა „ნაცმოძრაობის“ ავტორიტარული რეჟიმის შემქმნელი მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით გაჯერებული რეზოლუცია, ევროკავშირსა და დემოკრატიულ პარტნიორებს მოუწოდებს პერსონალური სანქციები დაუწესდეს ბიძინა ივანიშვილს და მათ, ვინც პასუხისმგებელია საქართველოში დემოკრატიის შელახვაზე.

შეგახსენებთ, რომ „ევროპის სახალხო პარტია“ ევროპის ყველაზე დიდი პოლიტიკური ჯგუფია. სწორედ ამ პოლიტიკურ ძალას ექნება გადამწყვეტი გავლენა ევროკავშირზე შემდეგი წლების განმავლობაში. ევროკავშირზე მისი უზარმაზარი გავლენის მქონე ჯგუფი საქართველოში ოპოზიციური პარტიების აქტიური მხარდამჭერია. „ევროპის სახალხო პარტიის“ ასოცირებული წევრია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ხოლო დამკვირვებელი წევრი – „ევროპული საქართველო“, სწორედ ამ უკანასკნელით არის განპირობებული მათი საქართველოს ხელისუფლების მიმართ წარმოებული კრიტიკული რიტორიკა. ამავე პარტიის წევრია ევროკომისიის ამჟამინდელი პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენიც.

# იმ ქვეყანას ვტირი, რომელმაც ანტიკური ბერძნული სიბრძნე წარმოშვა...




პირველი გვერდიდან

***— ქალბატონო ნინო, თქვენ და თქვენი ოჯახი რომ არა, ეს წიგნი, როგორც იტყვიან „არ შეიკვრებოდა", ამდენი მეცნიერის შრომები არ გაერთიანდებოდა და არ გამოიცემოდა. მეუხერხულება მაგრამ მინდა გკითხოთ, მიზეზი მხოლოდ ის იყო, რომ ექიმი ბრძანდებით და მედიცინის ფუძემდებელს, კოლხ მედეას პატივი მიაგეთ?***

— არა! ეს 700-გვერდიანი წიგნი ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის გამოწვევაა; საჭიროა მეტი ყურადღება დავუთმოთ ჩვენი სამშობლოს წარსულს, რომელიც იმაზე ღრმა და ბევრის მთქმელია, ვიდრე წარმოუდგენიათ ევროპაში, ამერიკაში, აზიაში და გნებავთ საქართველოში.

პატივს ვცემ ყველა ქვეყნის ისტორიას (ბევრი მათგანი ჩვენი ისტორიული მტერიც ყოფილა), მაგრამ სხვებმაც უნდა იცოდნენ, რომ ჩვენს მცირერიცხოვნობაზე აქცენტის გაკეთება ჩვენი წარსულის იგნორირებაა.

მტერთან ბრძოლას შევალიეთ ჩვენი გენოფონდი, ჩვენი სასიცოცხლო ენერგია, მაგრამ შევძელით შეგვენარჩუნებინა ის, რაც ყოველთვის ამტკიცებს, რომ ვართ მსოფლიო ცივილიზაციის მესაძირკვლენი და ვინმეს ხელწამოსაკრავი არასოდეს ვიქნებით.

***— რა ნიშნის მიხედვით შეარჩიეთ ავტორები და ვინ არიან?***

— წინათქმა ეკუთვნის ცნობილ ქართველ მეცნიერს, აკადემიკოს **რისმაგ გორდეზიანს,** მაგრამ მისივე რეკომენდაციით წიგნის „გამხსნელი" არის **აკაკი ურუშაძის — „აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა" და მისი წყაროები"**. არ არის საჭირო იმის მტკიცება, რომ აწ გარდაცვლილი აკაკი ურუშაძე ბიზანტიურ-ბერძნული ისტორიის დიდი მკვლევარი, ქართველი მეცნიერების აღმზრდელი და გზის გამკვლევია.

ეს დამოკიდებულებაც სწორია — პატივი უნდა მივაგოთ დიდ მეცნიერებს და მათ აღმზრდელებს.

წიგნს ამშვენებს აწ გარდაცვლილი მეცნიერის **ოთარ ლორთქიფანიძის** ნაშრომის ნაწილი **„აქეური საბერძნეთის კოლხეთთან ურთიერთობის იონიური კოლონიზაცია და კოლხეთი"**.

***— ვნახე, იქ არის ლევან და რისმაგ გორდეზიანების, დავით ლომიტაშვილის, მანანა გაბაშვილის, გია კვაშილავას, ავთანდილ ოქროსცვარიძის, ამირან კახიძის, მერაბ ხალვაშის, ნიკოლოზ თუშაბრამიშვილის, ლაშა ხუხიშვილის, დიმიტრი აქუბარდიას, ვალერი ასათიანის, ქეთევან ნადარეიშვილის, მიხეილ შენგელიას, რამაზ შენგელიას, რუსუდან ცანავას, ნანა ტონიას, ბაია კოღუაშვილის, მარიკა ერქომაიშვილის, ნათია ფიფიას, ეკატერინე კობახიძის, თქვენი და პაატა ნაცვლიშვილის სტატიები.***

— თქვენი საინტერესო სტატია — **„ოქრომრავალი კოლხეთის მეფე აიეტი"**, რატომ გამოტოვეთ?

***— არ გამომიტოვებია, ნახავენ...***

***საქართველოში ჩვევიათ „რიგითების" ადვილად გაკრიტიკება, მაგრამ არავინ კითხულობს, ვინ როგორ მუშაობს წყაროებზე და როგორ აფასებს მათ.***

— გეთანხმებით, არც მე ვარ ამ დარგის სპეციალისტი, მაგრამ ჩემს სტატიაში ექიმის ხედვაა და რა თქმა უნდა, განსხვავდება ბიზანტიის, საბერძნეთ-საქართველოს ურთიერთობების შემსწავლელ მკვლევარ-მეცნიერთა ნაშრომებისაგან.

***— გულწრფელად რომ გითხრათ, სიმართლე ხომ არ გეწყინებათ?***

— გული არ გამიხეთქოთ, რას ეხება?

***— მგონი ნინო ჭუმბურიძე ახლიდან აღმოვაჩინე. ვინც არ გიცნობთ, ისე ჩანს, თითქოს უკარება, განებივრებული ქალბატონი ბრძანდებით — არადა, ასე არ ყოფილა. გაოცებული ვარ თქვენი შრომისმოყვარეობით, ექიმისა და პაციენტის გასაოცარი ურთიერთობით.***

— (იცინის), გადავრჩი, კიდევ კარგი, მაგრამ როდის შეიცვალეთ წარმოდგენა?

***— გასულ წელს... ბოტანიკურ ბაღში საოცარი ღონისძიება ტარდებოდა, „მწვანე საღამოები". ჩამობრძანებული იყო ტონინო გუერას მეუღლე. შეხვედრა თქვენ და რეჟისორ მიშა მრევლიშვილს უნდა გაგეხსნათ. არაჩვეულებრივი საზოგადოება იყო, მათ შორის იყვნენ იტალიის და სხვა ქვეყნების ელჩებიც. მაგრამ ვიდრე მიზეზს ვიტყოდე აზრის შესაცვლელად, იქნებ უფრო დაზუსტებული ინფორმაცია მიაწოდოთ მკითხველს. რას ნიშნავს „მწვანე საღამოები"?***

— მსოფლიომ იცის ტონინო გუერას შესახებ, მაგრამ მისი ოცნება, მისი კონცეფცია **„დავიწყებული ხილის ბაღი"** რაღაც სხვა განზომილებაა, ჭერ კიდევ როდის, ტონინო გუერა ფიქრობდა არა მხოლოდ ეკოლოგიაზე, ადამიანის ბუნებასთან ჰარმონიულ ურთიერთობაზე, არამედ იმ ადამიანებზე, რომლებსაც წლების შემდეგ იშვიათად, ან საერთოდ აღარ იხსენებენ.

„დავიწყებული ხილის ბაღზე" ექსკლუზიური უფლება მოგვცა მისმა მეუღლე ლორა გუერამ, რომელიც, როგორც თქვენ გახსოვთ, ჩამობრძანებული იყო საქართველოში.

ბოტანიკური ბაღის ბაზაზე შევქმენით „დავიწყებული ხილის ხეივანი". გასაოცარი ხალხი მუშაობს ბოტანიკურ ბაღში. მაქსიმალურად შეგვიწყეს ხელი და ცალკე ფართობიც გამოგვიყვეს. იქ წელიწადში ერთხელ საქართველოს თუ იტალიიდან ჩამოტანილ ხეებს ვრგავთ ქართველი და იტალიელი საზოგადო მოღვაწეების სახელზე, ვატარებთ ფესტივალს — „მწვანე საღამოები".

***— გავაგრძელოთ, თქვენ არ ჩანდით... ყველას უკვირდა, რაღაც მოხდა თორემ... გვიან მოხვედით და უცბად ჩაერთეთ ღონისძიების წარმართვაში. ყურადღებით გაკვირდებოდით, ჩემს წინ დაღლილი ექიმი იდგა და არა უკარება, მედიდური ქალბატონი. გკითხეთ დაგვიანების მიზეზი. „უბრალოდ" მიპასუხეთ, რომ ვერ მოსცილდით მძიმე პაციენტს და ვერც სხვას ანდეთ, რადგან დარწმუნებული არ იყავით, გადარჩებოდა თუ არა.***

***გვარი და სახელი გკითხეთ... ვიცოდი ამ ავადმყოფის შესახებ, 4 მძიმე ოპერაცია გადაიტანა, ომის და შრომის ვეტერანი იყო, ასაკოვანი და... არც შეძლებული... არ გამკვირვებია, გამიხარდა თქვენი საქციელი.***

***ასე იყო... ამიტომ არ მიკვირს, რომ არ ეგუებით უსამართლობას, გულგრილობას და რაც მთავარია, მედიცინის ფუძემდებლის, კოლხი მედეას მიმართ აგორებულ ცილისწამებას, რომელიც 3500 წელზე მეტი გრძელდება.***

— (დიდხანს ფიქრობს)... მადლობა, ექიმის პატივისცემისთვის. ვიცი, რომ სამყარო უცნაურადაა მოწყობილი, ძნელია სიმართლის გზით იარო და ეს სიმართლე ყველამ აღიაროს, მაგრამ ვკითხულობ, კოლხი მედეა თუ ოჯახის, მამის, ქვეყნის მოღალატეა, შვილების მკვლელია, რატომ ვერ სცილდებიან მას, რატომ აღმერთებენ? რატომ არის ასეთი პოპულარული დღემდე?

იციან სიმართლე, იციან მისი უდანაშაულობა, მაგრამ შეთხზული ბოროტებით ტკბებიან? „მოწონთ" „ჯადოქარი", „მომნუსხველი" — თვით ურჩხულის „დამმარცხებელი", „ოქროს საწმისის გამტაცებელი", პელიასის **„მოკვდინების"**, ძმისშვილების "მკვლელობის" ჩამდენი?

რას ეყრდნობიან? აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკას", რომელსაც სიღრმისეულად არ იცნობენ, თუ ევრიპიდეს, რომელიც სხვა ხალხებს „ბარბაროსებს" უწოდებდა და ეადვილებოდა მათ საუკეთესო წარმომადგენლებზე ცილისწამება და მისი გავრცელება? რატომ არავის სურს სიღრმეებში ჩასვლა და რეალობის დანახვა?

***— ევრიპიდეზე წერენ, თითქოს მან დაწერა „ინო", „ფრიქსე", „ჰიფსიპლე", „პელიასის ქალიშვილები", „ეგეოსი", „მედეა" (პირველი გამოცემა).***

***სად „გაქრნენ" ეს ნაწარმოებები? ასე სათაურებს მეც ჩამოვთვლი. რატომ შემორჩა ისტორიას „მედეა" (მეორე ვარიანტი) სრულად?***

***ადრეულ ხელნაწერებში ხომ მედეა შვილებს არ კლავდა და არც ასეთი „ბოროტი" იყო?***

***რა მოხდა დიდი ისტორიკოსის ჰეროდოტეს სიკვდილის შემდეგ? „გაილაღა" პოეტმა სიცრუის ველზე?***

***ესეც არ იყოს, ერთი პოეტის წარმოსახვა, ერთი ნაწარმოების ავტორი, რა ისეთ მტკიცებულებად იქცა, რომ მასზე აქვთ აწყობილი ყველაფერი?***

— გეთანხმებით, ეს არის ის სტრატეგია, რომელიც დასახა და განახორციელა იმდროინდელმა ელადამ. აწყობდათ, შეუკვეთეს და ევრიპიდემაც შეცვალა თავის მეორე „მედეაში" სიმართლე. მოიპოვა ჯილდო და გახდა „ცნობილი". ვერაფერს იტყვი — აღიარეს კაცი, რომელიც ხალხს, რომელი ქვეყნიდანაც არ უნდა ყოფილიყო, ბარბაროსებს უწოდებდა.

***— ქალბატონო ნინო, შთაბეჭდილება მრჩება, რომ კოლხი მედეას მიმართ ისეთი განწყობა გაქვთ, ხვალ სასამართლო პროცესი რომ გაიმართოს, მისი ადვოკატი იქნებით.***

— ნეტავ შემეძლოს. დროა მსოფლიომ გაიგოს მისი ღირსების, უდანაშაულობის შესახებ. ჩემს მეგობრებთან ერთად ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ მისი სახელით ვიბრძოლოთ მსოფლიოში, მისი სახელით ვაცნობოთ ყველას, რომ კოლხეთ-იბერია (დღევანდელი საქართველო) ხელწამოსაკრავი ქვეყანა არ არის და ხალხი არ იმსახურებს მისი საუკეთესო შვილის ღირსების შელახვას.

არ შეიძლება მსოფლიო ხარობდეს უდანაშაულო ადამიანის ცილისწამების შედეგებით.

კოლხ მედეას არ სჭირდება რეაბილიტაცია, მაგრამ კოლხი მედეა, როგორც ფენომენი უნდა დაინახოს და აღიაროს მსოფლიომ დადებითი კუთხით, როგორც უნიჭიერესი ადამიანი, ღირსეული შვილი და დედა, ღირსეული კოლხი ქალი და არა ტრაგიკული, უარყოფითი პიროვნება.

***— როგორ აპირებთ ამას?***

— არიან ჩემ გარშემო აკადემიკოსები რამაზ შენგელია, ვალერი ასათიანი, პუბლიცისტი ქეთევან ტომარაძე, თქვენ, ოჯახის წევრები, დარგის სპეციალისტები. პირველი ნაბიჯი ეს წიგნია. ამ წიგნით ვივლით რეგიონებში, ხალხს ავუხსნით, რომ მედეა სავიზიტო ბარათია სიკეთით, ნიჭიერებით, სიმართლით, სამშობლოს სიყვარულით და იმით, რომ ბოლომდე მის შვილად რჩება. ხომ გვახსოვს, როგორ გვასწავლიდნენ საბჭოთა კავშირის დროს არგონავტების ე.წ. მოგზაურობას, რეალურად ლაშქრობას, მედეას, მეფე აიეტის თემას. მოგვწონდა იაზონი, უარყოფითად ვიყავით განწყობილი მედეას, თვით მეფე აიეტის მიმართ, რომელსაც ოჯახიდან გაუტეხეს ციხე-სიმაგრე.

ახლა ისტორიული წყაროები უფრო ხელმისაწვდომია. ბევრს მალავენ, მაგრამ იმათაც მივწვდებით. ყველას შევუწყობ ხელს, ვინც ამ დიდ საქმეში წვლილს შეიტანს.

***— ვიცი, წიგნი თბილისის მერმა კახი კალაძემ საკუთარი სახსრებით გამოსცა, წიგნის წარდგენის დროსაც კი არ ითქვა ამის შესახებ, მაგრამ გადაეცით ხალხის მადლიერება. ვიცი საცდელი გამოცემაა, ბევრია ამ წიგნის მსურველი. კიდევ გამოიცემა?***

— ალბათ მერია კიდევ დაგვეხმარება...



# როდის ჩამოეხსნება კოლხ მედეას ცილისწამების საბურველი?

ვნახოთ... მერე სხვებიც გამოჩნდებიან. რამდენიმე სხვა წიგნიც იწერება, თქვენც ბევრს მუშაობთ ამ მიმართულებით. თუ მოვინდომებთ, აუცილებლად მივაღწევთ მიზანს.

***— ქალბატონო ნინო, მორიდებით ამბობთ, მკვლევარი-მეცნიერი არ ვარო. მე კი ვიტყოდი, რომ წიგნში თქვენი საყურადღებო სტატიაა. კ.შპრენგელის შრომების შესახებ ალბათ მეტი უნდა ვუთხრათ მკითხველს.***

— მედიცინის ისტორიის კლასიკოსია კ.შპრენგელი. (XVIII საუკუნე). მან ხუთ ტომად გამოსცა მედიცინის მსოფლიოს ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვანი ნაშრომი: **ვერავინ იტყვის შპრენგელი მიკერძოებულიაო, როცა დაწერა, რომ მედიცინის მსოფლიო ისტორია კოლხური მედიცინით იწყებაო. იგი ობიექტურად აფასებს მედეას როლს.**

***— ქალბატონო ნინო, წყაროებით დასტურდება, რომ „არგონავტებს“ თავიანთ გემზე მკურნალიც არ ჰყავდათ. რა მინიშნებაა?***

— ალბათ იმაზე, რასაც კ.შპრენგელმა მიაქცია ყურადღება, კოლხური მედიცინით იწყება მედიცინის მსოფლიო ისტორია. ამიტომ მოიტაცეს კოლხეთიდან მედეა.

ძვ.წ. აღრიცხვის პერიოდზეც რომ არ ვილაპარაკოთ, ვიტყვი, რომ პეტრე იბერის (411–492წწ.) დედამ ბაკურდუხტმა სათავე დაუდო დაავადებათა კონტროლის მექანიზმს.

***— XXI საუკუნეში კოვიდის დროს მსოფლიო დაიბნა. იმ დროს როგორ ებრძოდნენ საქართველოში ეპიდემიებს?***

— ამ გამჭრიახმა ქალბატონმა ქვეყნის საზღვრებზე, საბაჟოებზე, სავაჭრო ადგილებთან გახსნა ე.წ. „სასნეულოები“. კონტროლის გზით ხალხს ეპიდემიებისგან იცავდა. წყაროებით დასტურდება, რომ ასეთი საერო საავადმყოფოები ევროპაში რამდენიმე საუკუნის შემდეგ გაჩნდა.

***— ეტყობა, ესეც არ იციან დღევანდელ ევროპაში, რადგან ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა უხეშად განაცხადა — „ევროპა სამოთხეა, იქით? (ე.ი. ჩვენც) ჯუნგლებიო...“***

— რა ვუყოთ, ჩვენც ჩვენი ვუთხრათ. ჯერ კიდევ XI–XII საუკუნეებში საქართველოს მეფე დავით აღმაშენებლის დროს აშენებული იყო სასნეულოები, საავადმყოფოები. ვიცით ევროპაში რა ძვირია დღეს ჯანმრთელობის დაცვა, იმ დროს კი, სამედიცინო დაწესებულებების მომარაგება (წამლები, სამედიცინო ინვენტარი, საკვები და სხვა) ხდებოდა სახელმწიფო ხაზინიდან. მაშინ ე.წ. სამოთხის ბევრი ქვეყანა არც იხსენიებოდა.

ჩვენი საეკლესიო მოღვაწენი საქართველოს ფარგლებს გარეთაც აარსებდნენ სამედიცინო-საგანმანათლებლო ცენტრებს, ეკლესია-მონასტრებთან იყო ქსენონ-სასნეულოები. წერდნენ სამედიცინო წიგნებს და სხვა.

ვთქვათ სიმართლე, ვისაც არ ეზარება აკნინებს ჩვენი წინაპრების ღვაწლს ცივილიზაციის შექმნის პროცესში და გულწრფელად რომ ვთქვათ, ეს ჩვენი ბრალიცაა.

***— როცა ამბობენ, რომ ჰიგიენა, ე.წ. ევროპული პეწი ჩვენგან შორსაა, ეს როგორ?***

— მეცინება. ჩვენს წინაპართა ჰიგიენურ კულტურაზე მეტყველებს ჩვენი არმაზ ქალაქის თერმული აბანოები. მოვიწვევ ვარძიაში — ნახონ, აღიქვან, რა ხდებოდა აქ სახელოვანი თამარ მეფის დროს ჯერ კიდევ XII საუკუნეში.

***— რატომ თვლიან ინგლისელ მედიკოსს ედუარდ ჯენერს ვაქცინაციის ფუძემდებლად, როცა ქართველები არიან მასზე წინ?***

— მათ ეს მოახერხეს... ინფორმაციის გავრცელება მოხდა სხვების მიღწევების იგნორირებით. ესეც ჩვენი ბრალია.

***— როგორია სიმართლე?***

— მინდა საქართველომ და სხვებმაც გაიგონ, რომ ხარისჭირაშვილთა და ადუაშვილთა გვარები ევროპაზე გაცილებით ადრე ფლობდნენ ყვავილის ვარიოლაციური აცრის მეთოდს.

ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა **იოჰან გიულდენშტედტმა** საქართველოში იმოგზაურა და აღწერა ყვავილის აცრა. ეს იყო XVIII საუკუნეში (1771–72 წლებში).

**საქართველოში რომ ჩვეულებრივი მოვლენა იყო ვაქცინაცია, ინგლისელმა მედიკოსმა ედუარდ ჯენერმა მხოლოდ 1796 წელს დაიწყო ექსპერიმენტები ამ მიმართულებით.**

**რას ვიზამთ, ის ითვლება ფუძემდებლად და არა ჩვენ, ქართველები.**

***— მოდით, დავუბრუნდეთ კოლხ მედეას, მედიცინის ფუძემდებელს. ახლა ხომ მაინც შეგვიძლია ვილაპარაკოთ სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა? თქვენი სტატიის „კვალდაკვალ შევიდეთ „მედეას ბაღში“, რას ვნახავთ იქ?***

— სიმართლე იცით რა არის? მსოფლიოს წარსული ჯერ კიდევ შესასწავლია, ხოლო რაც ვიცით, მას სამართლიანი შეფასება აკლია.

მარტო „მედეას ბაღის“ უნიკალურობა არის ამ სიტყვების დასტური.

მითებში მედეა წარმოჩენილია გრძნეულად, ჯადოქრად, რომელსაც ათასგვარი წამლის დამზადება შეეძლო, არადა, დღევანდელი გადასახედიდანაც კი მედეა პირველი ბოტანიკოსია, ღვთიური მადლითა და სიბრძნით აღჭურვილი მკურნალი, ბუნების მესაიდუმლე, მაძიებელი პიროვნება.

მითი არ არის, რომ მედეა ატარებდა ჰემოტრანსფუზიას. ის მუშაობდა გაახალგაზრდავების პრობლემაზე. უამრავია წყარო. ამის შესახებ არაჩვეულებრივი გამოკვლევები აქვს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **ეკატერინე სანიკიძეს** და ჩემს სტატიაშიც დავწერე ამის თაობაზე.

გული მწყდება, რომ ევროპამ მე-17 საუკუნიდან დაიწყო ჰემოტრანსფუზიის დანერგვა, მაშინ როდესაც ამ მიგნების სამშობლო საქართველოა.

„მედეას ბაღზე“ მკითხეთ. ზოგჯერ კითხულობენ, არსებობდა კი მედეას ბაღი?

წყაროებით დასტურდება, რომ არსებობდა! სხვათაშორის ამ თემაზე მუშაობდა ცნობილი მეცნიერი მიხეილ შენგელია, ის დაინტერესებული იყო ამ ბაღის ადგილმდებარეობით. არ განიხილავდა მცენარეთა ჯგუფებს, დასახელებას, მაგრამ ძიებას აგრძელებს მისი შვილი, აკადემიკოსი რამაზ შენგელია და ერთად ალბათ რაღაც გამოგვივა.

***— თქვენ წერდით გერმანელი ბოტანიკოსის და ექიმის კურტ შპრენგელის შრომაზე, რომელმაც 36 თუ 40 მცენარის ლათინური სახელწოდებაც გამოაქვეყნა, რომლებიც მედეას ბაღში ხარობდა.***

— ასეა... XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწეობდა შპრენგელი. დიდია მისი დამსახურება;

ლატვიელმა მეცნიერმა რობერტ კუპცისმა კიდევ უფრო გაზარდა მედეას ბაღის სამკურნალო მცენარეთა რაოდენობა.

უძველეს წყაროებში — „ორფიკული არგონავტიკა“ აღწერილია „მედეას ბაღის“ სამკურნალო მცენარეები და სხვა.

***— რა გამოდის, უნდათ, რომ ეს ყველაფერი მითი იყოს, მაგრამ რეალობაა. აბა, რა ითვლებოდა „გრძნეულებად“?***

— სამკურნალო მცენარეების მეშვეობით ჭრილობების შეხორცება, შეშლილების განკურნება, უშვილობის მკურნალობა, დამწვრობის განკურნება, ტკივილების მოხსნა, ქირურგიული ოპერაციების ჩატარება და სხვა.

ბუნებრივია ყველას არ შეეძლო ამის გაკეთება, ეს ცოდნა არ ჰქონდათ და ვინც ამას აკეთებდა, გრძნეულებს ეძახდნენ.

***— თქვენი სტატიით „მედეას ბაღი“ სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც „შემოვიარე“. იქნებ მკითხველს დაუსახელოთ რამდენიმე მცენარე?***

— ფაქტია, რომ „მედეას ბაღის“ მცენარეთა სახესხვაობები დღესაც გვხვდება საქართველოში, თუნდაც ბევრ რამეს სხვები სახელს უცვლიან. მაგალითად ძვ.წ. III საუკუნის ეპიკოსი აპოლონიოს როდოსელი „არგონავტიკაში“ წერდა, რომ მედეას სასახლეში, ერთ–ერთ ყუთში ჰქონდა „პრომეთეს ბალახი“, არადა კოლხეთში, კერძოდ სვანეთში, იყო და დღემდეა შემორჩენილი „ამირანის ბალახი“.

***— არ მიკვირს, კავკასიონზე რატომღაც მიჯაჭვული ყოფილა პრომეთე და არა ამირანი. აკადემიკოსი ვალერი ასათიანი თავის გამოკვლევებში განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ამირან-პრომეთეს საკითხს და კარგად ვიცით, რაც ხდება.***

— ასეა, როცა სურთ, სახელთა ცვლილებით ცდილობენ ბევრი რამის სათავისოდ გამოყენებას.

საინტერესოა ჩვენი წინაპრის მიერ „შმაგას“ („ბელადონა“) გამოყენება. პოსტსაბჭოთა სივრცეში დაფიქსირებულია 3 სახეობა, აქედან ერთი კავკასიურია.

სხვათაშორის „შმაგას“ ქართლში დევსურავანდას (დევსურა, დევცეცხლას ეძახიან), კახეთში ცოფის ბალახს, ფშავში — გიჟანას.

***— როგორც ვხვდები ამ მცენარეებისაგან დამზადებული წამლები ნერვული სისტემის დამამშვიდებელ და საძილე საშუალებად გამოიყენებოდა. წყაროებში იკვეთება, რომ ჰერაკლე შეშლილობიდან განკურნა მედეამ. გამორიცხავთ, რომ ეს მცენარეები გამოიყენა?***

— შესაძლოა ამ მცენარეებთან ერთად მედეამ კოლხიკუმიც გამოიყენა.

***— რომელია კოლხიკუმი?***

— ეს უცუნაა. სამეგრელოში მას ჯირჩეს, ლაპას უწოდებენ, გურიაში — თავნიორას, ლეჩხუმში — შანშველას, იმერეთში — მარტოყვავილას, აჭარაში — სათოვლიას, რაჭაში — თოვლის დედას.

***— გამიგია, რომ კოლხიკუმი უძლიერეს შხამს (კოხიცინი) შეიცავს.***

— ასეა... მცენარეებთან დამოკიდებულება უნდა იცოდე, მისი შესაძლებლობები გაიაზრო. კოლხიკუმს იყენებენ ისეთი წამლების დასამზადებლად, რომლითაც რევმატიზმს, პოდაგრას, ნევრალგიას მკურნალობენ.

შეიძლება ვთქვათ, რომ მედეამ საფუძველი ჩაუყარა ფსიქიატრიას, რაც იმხანად გრძნეულებად მოინათლა. კოლხი მედეა ფლობდა უდიდეს ინფორმაციას სამკურნალო მცენარეებზე და იცოდა მათი დოზირება.

***— ეროვნულ აკადემიაში წიგნის წარდგენის დროს, საინტერესო გამოსვლით მიიქციეთ ყურადღება. დამამახსოვრდა ერთი დღის განსაკუთრებულობის საკითხი. მედეამ მხოლოდ ერთი დღით გამოსაყენებელი წამალი დაამზადა იაზონისთვისო. დოზირებაზე გამახსენდა. რა შეიძლება ყოფილიყო?***

— კარგი კითხვაა. მედეაზე ფსიქოლოგიურად ზეწოლას ახდენდა უფროსი და ქალკიოპე, ბერძენის მეუღლე, მისი ბერძენი დისწულები — დახმარებოდა იაზონს მეფის დავალების შესრულებაში.

მედეამ დაამზადა წამალი მხოლოდ ერთი დღისათვის, ეს დოზირების განსაკუთრებული ფაქტია. არც მეტი, არც ნაკლები, რაღაც გარკვეული ძალის, ენერგიის მოსამატებლად.

ეს წამალი შეიძლებოდა ყოფილიყო დღევანდელი გაგებით დოპინგი. ხომ იცით, მისი მიღება ეკრძალებათ სპორტსმენებს, რათა სხვებთან შედარებით არ მიაღწიონ უპირატესობას ზედმეტად მოზღვავებული ენერგიისა და შესაძლებლობების გამო.

ერთი სიტყვით, კოლხი მედეა გენიაა, წყაროებს თუ ჩავუღრმავდებით, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ვთქვათ, რომ კოლხი მედეა პირველი ბოტანიკოსია, ფსიქიატრიის, ჰემოტრანსფუზიის დამფუძნებელია, თანამედროვე ჰომეოპათიის სათავეებთანაა, იცოდა ღვინის, სურნელოვანი ეთერზეთების გამოყენების მეთოდები, კოსმეტიკაში, ფარმაკოლოგიაში, ჯანსაღ კვებაში და სხვა.

წყაროებიდან ისიც ირკვევა, რომ მედეა ორეგანოს იყენებდა გველის შხამის წინააღმდეგ, მაგრამ თვითონაც შეეძლო შხამის მოპოვება.

რომ არა მედეას განსაკუთრებულობა, ის ვერ იქცეოდა შთაგონების წყაროდ მწერლებისთვის, დრამატურგების, რეჟისორების, მომღერლების, მხატვრებისათვის აგერ უკვე 3500 წელზე მეტი დროის განმავლობაში.

რა დაგვემართა ქართველებს, რომ ამ უნიკალურ განძს „მიწაში ვმარხავთ“? გვერდს ვუვლით?

რატომ არაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ საერთაშორისო არენაზე კოლხი მედეა წარდგენილი იყოს ისეთად, როგორიც სინამდვილეში იყო და არა ცილისწამების საბურველში გახვეული?

***— თქვენს სტატიაში მოხმობილი გაქვთ XVII საუკუნეში დონ ქრისტოფორო დე კასტელის საქართველოს მიმართ გამოთქმული სიტყვები: „იმ ქვეყანას ვტირი, რომელმაც ანტიკური ბერძნული სიბრძნე წარმოშვა, ახლა კი, უვიცობის წყარო გამხდარა“. რატომ?***

— ეს არ არის უცხოელის ემოციური წამოძახილი. ეს სინანულია, ეს გარკვეული თანადგომაა დიდი ერისადმი...

***— გულშემატკივარია?***

— დიახ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რა დღეში იყო საქართველო XVII საუკუნეში.

დღესაც ნიჭიერებას, წარსულს უმეცრები რომ უპირისპირდებიან და ზოგჯერ წარმატებასაც აღწევენ, ასეთი შედეგები დგება.

როგორ გგონიათ, ბერძნებმა რითი გვაჯობეს ანტიკური ბერძნული სიბრძნის წარმომშობებს? თავისი თავის უკეთ წარმოჩენით... ჩვენთან რა ხდება? პირიქით, ისმის ლანძღვა-გინება, საკუთარის დაკნინება, ქვეყნის იმიჯის შელახვა...

***— XIX საუკუნემდე, ვიდრე მეცნიერები არ ჩააღწევდნენ ისტორიის სიღრმეებში, ყველა ბერძნულ გენიაზე ლაპარაკობდა და არა ამ გენიის, ამ სიბრძნის წარმომშობ კოლხეთ–იბერიაზე და მათ წინაპრებზე.***

— ასეა, გერმანელი მეცნიერი ვილჰელმ ჰუმბოლტი წერდა: **„XIX საუკუნემდე რასაც ბერძნების დამსახურებად მივიჩნევდით, თურმე მათზე გაცილებით ადრე არსებულა სხვა ცივილიზაციათა წიაღში“.**

მოდი და ნუ დაეთანხმები.

ამიტომ, დროა, საქართველომ, დიდი კოლხეთ-იბერიის მემკვიდრემ, მსოფლიოს უთხრას, რომ ის მცირერიცხოვანი კი არის (ბედის უკუღმართობით), მაგრამ განუმეორებელია, რომ არსებობს კოლხურ-იბერიული ფენომენი, კოლხურ-იბერიული გენის, სხვათა ანტიკური სიბრძნის წარმომშობი!!!

ამ რთულ გზაზე ცილისწამებისაგან გათავისუფლებული კოლხი მედეა გაგვიძღვება, „ოქრომრავალი კოლხეთის“ მეფე აიეტის ძლევამოსილება ძალას მოგვცემს, აიაიას (დღევანდელი სამხრეთ იტალიის) და კრეტის დედოფლების, მეფე აიეტის დების — კირკე და პასიფაეს დიდი შინაგანი ენერგია დაგვიფარავს.

***— დაიჯერებენ?***

— ვინც არ დაიჯერებს, გაგვატაროს...



**ესაუბრა**
**მაყვალა ბერიანიძე.**
**27 სექტემბერი 2024წ.**



„მედეა“ გუსტავ კლიმტი

# ვულოცავთ საპატიო თბილისელობას!..



ზურაბ კახაბრიშვილი



დიმიტრი ბაზერაშვილი



ვახტანგ ცუხიშვილი



ნელი ბერაია



ვილი სანიოლი

**1979 წლიდან ჩვენი ულამაზესი ქალაქ-დედაქალაქის შემოდგომის ხავისა და ბარაქის სინონიმადაა ქცეული თბილისობა, ტრადიციის ერთგულება კი ყოველწლიურად საპატიო თბილისელთათვის სიმბოლური გასაღებისა და სიგელის გადაცემით გამოიხატება.**

დადებით ემოციებთან ერთად, პოპულარულ რიტუალს ერთგვარი სევდაც ახლავს თან – როგორ გინდა უამრავ ღირსეულს შორის არჩევანი კიდევ უფრო ღირსეულზე შეაჩერო.

ასე მოხდა წლეულსაც, როცა დაჯილდოებულთა შორის შემოქმედებითი ინტელიგენციის, მედიცინის დარგის, ჟურნალისტიკის და სპორტის წარმომადგენლები სჭარბობენ.

გილოცავთ, მეგობრებო, მრავალ თბილისობას დასწრებოდეთ!

მიმდინარე წელს თბილისის საპატიო მოქალაქეობა მიენიჭათ: **ზურაბ კახაბრიშვილს** (ექიმი, პროფესორი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური ნაკრები გუნდების მთავარი ექიმი); **მერაბ კილაძეს** (ექიმი; პროფესორი); **გიორგი ჭუმბურიძეს** (ექიმი, საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების მთავარი ექიმი); **დიმიტრი ბაზერაშვილს** (ექიმი, პროფესორი); **გიზო გაბესკირიას** (რეჟისორი); **გვანჯი მანიას** (გეოგრაფი, ჟურნალისტი, მეცნიერი, თბილისობის დღესასწაულის დაწესების ერთ-ერთი ინიციატორი); **ბიძინა სონღულაშვილს** (ინჟინერი); **ნათელა ვასაძეს** (ფილოლოგი, პროფესორი); **გელა ფარჩუკიძეს** (დირიჟორი); **ნელი სალაძეს** (სპორტსმენი, მწვრთნელი); **მზია აფრიდონიძეს** (მუსიკოსი, მხატვარი); **გურამ ბათიაშვილს** (მწერალი, დრამატურგი, მთარგმნელი); **კახა ქორიძეს** (არქიტექტორი, მსახიობი); **გოგი მარგველაშვილს** (რეჟისორი); **თამაზ გოდერძიშვილს** (მწერალი, დრამატურგი, მთარგმნელი); **ნელი კობიაშვილს** (ჟურნალისტი, პუბლიცისტი); **გივი სიხარულიძეს** (მსახიობი, მწერალი, მოცეკვავე, სპორტსმენი); **ვახტანგ ცუხიშვილს** (არქიტექტორი); **ზურაბ ყიფშიძეს** (მსახიობი); **გურამ კალანდაძეს** (გეოლოგი); **ნელი ბერაიას** (მსახიობი და მხატვარი); **თენგიზ გაჩეჩილაძეს** (პედაგოგი, ჟურნალისტი); **თეიმურაზ ლეჟავას** (ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი, გენეტიკის ინსტიტუტის დამფუძნებელი საქართველოში); **ოლესია თავაძეს** (მხატვარი); **ვილი სანიოლის** (ფეხბურთელი, საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი).

დაჯილდოების ცერემონიაზე შეკრებილ საზოგადოებას თბილისის მერმა კახა კალაძემ მიმართა და საპატიო თბილისელებს ახალი სტატუსი მიულოცა. როგორც მერმა აღნიშნა, თბილისს გამორჩეული ადამიანები ამშვენებენ.

„თბილისს ხომ გამორჩეული ადამიანები ამშვენებენ. პირველ რიგში, მინდა, მთელი გულით მადლობა გადაგიხადოთ ყველას, ვინც თქვენი მიღწევებით თუ ყოველდღიური შრომით ერთ აგურს დებთ თბილისის განვითარებაში. რასაკვირველია, ყველასთვის თბილისის საპატიო მოქალაქის სტატუსის მინიჭებას ვერ შევძლებდით, მიიღეთ ჩვენი გულწრფელი პატივისცემა და მადლიერება“, – აღნიშნა კალაძემ.



გიორგი ჭუმბურიძე



ნათელა ვასაძე



მერაბ კილაძე



ნელი კობიაშვილი



ზურაბ ყიფშიძე



თამაზ გოდერძიშვილი



გიზო გაბესკირია



გივი სიხარულიძე



თენგიზ გაჩეჩილაძე



გოგი მარგველაშვილი



მზია აფრიდონიძე



ოლესია თავაძე



ნელი სალაძე



გურამ კალანდაძე



გვანჯი მანია



გელა ფარჩუკიძე



კახა ქორიძე



ბიძინა სონღულაშვილი



თეიმურაზ ლეჟავა



გურამ ბათიაშვილი

რაც კარგია, კარგია! საქართველოს რესპუბლიკა

# თბილისიდან თელავში — ერთ საათსა და 20 წუთში!

## კახეთის 4-ზოლიანი მაგისტრალის პირველი 35-კმ-იანი მონაკვეთი გაიხსნა



**თბილისიდან საგარეჯომდე ტრანსპორტი უკვე ჩქაროსნული გზით ისარგებლებს.**

თბილისი-საგარეჯოს მაგისტრალური გზა სრულ შესაბამისობაშია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების თანამედროვე სტანდარტებთან და უზრუნველყოფილია განათების სისტემით.

მაგისტრალი გვერდს უვლის ოთხ მჭიდროდ დასახლებულ სოფელსა და ქალაქს (ვაზიანს, სართიჭალას, ნინოწმინდას, საგარეჯოს), რითიც განტვირთავს მოძრაობას დასახლებებში, გაანახევრებს გადაადგილების დროს და სამჯერ გაზრდის ავტოტრანსპორტის გამტარობას.

თბილისი-საგარეჯოს მაგისტრალურ გზაზე აშენდა 35-კმ-იანი ასფალტ-ბეტონისა და ცემენტ-ბეტონის 4-ზოლიანი გზა, 46 საავტომობილო, 4 სარკინიგზო და 1 სამელიორაციო ხიდი, მოეწყო 8 მიწისქვეშა გადასასვლელი, 148 წყალგამტარი და 19 სამელიორაციო მილი.

გზის მშენებლობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან 533 502 661 ლარით დაფინანსდა.

თბილისი-საგარეჯოს 35 კმ-იანი საერთაშორისო მაგისტრალური გზა თბილისის კახეთთან დამაკავშირებელი ძირითადი საგზაო ქსელის და აზერბაიჯანთან დამაკავშირებელი საერთაშორისო სატრანზიტო დერეფნის ნაწილია.

კახეთის 4-ზოლიანი საერთაშორისო მაგისტრალის განვითარებისთვის, საერთო ჯამში, აშენდება 85-კმ-იანი გზა ბაკურციხემდე, რისთვისაც უკვე მიმდინარეობს საგარეჯო-ბადიაურის 17-კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობა.

კახეთის მაგისტრალის მშენებლობის დასრულების შემდეგ, თბილისიდან თელავამდე მგზავრობა მხოლოდ 1 საათსა და 20 წუთში იქნება შესაძლებელი.

# ახალი სპორტული ბაზა — მალთაყვაში

**საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით, ფოთში, მალთაყვაში კანოესა და ნიჩბოსნობის ბაზა აშენდა. ახლად აშენებული ბაზა საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა იოსებ ბაღათურიამ შპს „სპორტმშენსერვისის“ დირექტორთან გერონტი ცინდელიანთან ერთად დაათვალიერა.**

ბაზის მშენებლობა 2023 წელს დაიწყო და ამ ეტაპზე სპორტული ინვენტარით, ავეჯითა და ტექნიკით აღჭურვა მიმდინარეობს.

პროექტის ღირებულება შვიდ მილიონ ლარამდეა და მოიცავს სპორტული ინფრასტრუქტურისთვის საჭირო სავარჯიშო, სპორტსმენების საცხოვრებელ და ადმინისტრაციულ სივრცეებს, მათ შორის 22 სასტუმროს ტიპის ნომერს, საუნას, გასახდელებს, საშხაპეებს, საკონფერენციო ოთახს, შენობა ადაპტირებულია შშმ პირებისთვის და გააჩნია ელექტროენერგიის დამოუკიდებელი კვების წყარო.

ქალაქ ფოთს ქართული ნიჩბოსნობის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. XX საუკუნეში აქ ნიჩბოსნობა დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ქალაქში მოსამზადებლად ჩადიოდნენ იმ დროის საუკეთესო სპორტსმენები. სწორედ ფოთიდან იყო ლეგენდარული ნიჩბოსანი ვიქტორ კრატასიუკი, რომელმაც 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადაზე ოლიმპიური ჩემპიონობა იზეიმა.

აღსანიშნავია, რომ მალთაყვის აკვატორია მდიდარია წყლით, რაც საწყლოსნო სახეობების განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ფოთში არსებული კლიმატური პირობებიდან გამომდინარე ზამთარში წყალი არ იყინება, რაც სპორტსმენებს შესაძლებლობას აძლევთ, ზამთარშიც უწყვეტად შეძლონ ვარჯიში. წლების განმავლობაში წყალთან ახლოს ბაზის არარსებობის გამო ნიჩბოსნებს ვარჯიშის პროცესში არაერთი პრობლემა ექმნებოდათ, მათ შორის სპორტსმენებს ნავებისა და სპეციალური ეკიპირების ხელით ტარებაც დიდ მანძილზე უწევდათ, ბაზის გახსნის შემდეგ კი ეს პრობლემები მთლიანად აღმოიფხვრება.

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო აგრძელებს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობას ქართული სპორტის განვითარებისა და სპორტსმენთა ხელშეწყობისთვის.



# გუჩა კვარაცხელიას უკვდავება

## საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით ალბომი „გუჩა“ გამოიცა




**საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა გუჩა კვარაცხელიას ნახატების ალბომის – „გუჩას“ პრეზენტაცია, რომელიც მის დაბადების დღეს მიეძღვნა. ალბომი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით გამოიცა.**

პრეზენტაციას კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურაზე ხელმისაწვდომობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ალექსანდრე გრიგალაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი როინ მეტრეველი, აკადემიკოსი ინესა მერაბიშვილი, სხვა მეცნიერები და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ღონისძიებას მიწვეული სტუმრის სტატუსით დაესწრო კულტურისა და სპორტის ყოფილი მინისტრი თეა წულუკიანი.

პრეზენტაციის მიმდინარეობისას გამოიფინა გუჩა კვარაცხელიას ნახატები. საღამოს უძღვებოდა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ნიკოლოზ წულუკიძე. ალბომის დიზაინერია სანდრო ჩხაიძე.

„გუჩა კვარაცხელია (1940-2021) იყო ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1986), პროფესორი (1988), სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგე (1984-94), საქართველოს განათლების მინისტრი (1992), არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი (1993-2006), ქართული ენის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (1995-2005), ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის პროფესორი (1999-2006), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2001), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2013), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი (2005- 2021).

გუჩა კვარაცხელია 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია ენათმეცნიერების თეორიასა და ისტორიაში, აგრეთვე, მათემატიკურ ლინგვისტიკასა და ენის სტატისტიკური მეთოდებით კვლევის სფეროში. გამოცემულია მისი პოეტური და დრამატურგიული ნაწარმოებების ცხრა კრებული. მისი ლექსები თარგმნილია გერმანულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.



გუჩა კვარაცხელია გატაცებული იყო მხატვრობით. 2010 წელს თბილისის „გალა-გალერეაში“, 2015 წელს კი ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში გაიმართა მისი პერსონალური გამოფენები. 2021 წელს მონაწილეობდა პროექტში „ხელოვან ქალთა ციფრული გამოფენის კვირეული“. 1970-იან წლებში გუჩა კვარაცხელიამ საქართველოს ტელევიზიაში შექმნა საავტორო გადაცემათა ციკლი „ათი ათასად ზრდილობა“, რომელსაც თავად უძღვებოდა.

**ინფორმაციისთვის: პროექტი „გუჩა“ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს „თავისუფალი პროექტების“ კონკურსის გამარჯვებულია. ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) წიგნ-ალბომი დაიბეჭდა გამომცემლობა „სეზან ფაბლიშინგში“.**

# საქართველოს კინემატოგრაფისტები — ბაქოს კინოფესტივალზე

**2-8 ოქტომბერს აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში პირველად იმართება საერთაშორისო კინოფესტივალი (Baku Cinema Breeze), რომელიც აერთიანებს ბაქოს მე-15 საერთაშორისო კინოფესტივალს, ბაქოს მე-8 დოკუმენტიკურ საერთაშორისო კინოფესტივალს, ბაქოს მე-7 ანიმაციურ კინოფესტივალს, თურქული ანიმაციის ფესტივალსა (ATA) და აღმოსავლური და შუა აზიის ქვეყნების კინობაზარს (Orient and Middle Asia Countries Cinema Market), რომელშიც ეროვნულმა კინოცენტრმა თავისი ეროვნული სტენდით მიიღო მონაწილეობა.**

ეროვნული კინოცენტრის ინფორმაციით, საქართველოს ეროვნული კინოცენტრის წარმომადგენლები ფესტივალის კინობაზრობაზე აზერბაიჯანის კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის კინოს სააგენტოს (ARCA) ოფიციალური მიწვევით იმყოფებიან. კინოცენტრის წარმომადგენლებმა შეხვედრები გამართეს ფინეთის, კანადის, აზერბაიჯანის, ინდოეთის, ყირგიზეთის, ყაზახეთის, თურქეთისა და ბელგიის კინოინდუსტრიის წარმომადგენლებთან. მხარეებმა შეხვედრებზე ისაუბრეს სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივების შესახებ.




**წელს ბაქოს კინოფესტივალზე თანამედროვე ქართული ანიმაციის პროგრამაში წარდგენილი იქნება ანიმაციის განვითარების ფონდის ხელმძღვანელისა და „თოფუზის“ ანიმაციური კინოფესტივალის დირექტორის, ზურაბ დიასამიძის, საპროდიუსერო კომპანია „მიფასი ფილმსის“ მიერ შექმნილი ნამუშევრები: „პომიდორი“, „კედელი ჩემს სახლში“, „თავისუფლება“, „ცხელი ჩაი წვიმიან ამინდში“, „რეჟისორი“, „გოდერძი“ (რეჟისორი პეტრე თომაძე), „მამა“ (რეჟისორი არჩილ კუხიანიძე), „მოკლე საუბარი“, „სამეფო მასხარა“ (რეჟისორი საბა ქარსელაძე) და „მაგიური საღამო“ (რეჟისორი არსენ ოქრუაშვილი).**

◎ გვიმრავლოს!




# ჩემპიონთა საბუდარი

**ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის ლაშა ბექაურის მშობლიურ სოფელ არხილოსკალოში საქართველოს პრემიერ მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ტატამის დიდოსტატთან ერთად საზეიმოდ გახსნა მისივე სახელობის სპორტული კომპლექსი.**

თანამედროვე სტანდარტის სპორტული კომპლექსი მოიცავს 100 მაყურებელზე გათვლილ ძიუდოსა და ჭიდაობის, ასევე – ფიზიკური მომზადებისა და ძალოსნობის მულტიფუნქციურ დარბაზებს. კომპლექსის მშენებლობა განახორციელა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა.

შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობისა და გაგრილების სისტემებით, სპორტსმენთა გასახდელებითა და საშხაპეებით, გათვალისწინებულია აგრეთვე დამოუკიდებელი ოთახები მწვრთნელების, მსაჯებისა და ექიმისათვის, ისევე როგორც საკონფერენციო და ადმინისტრაციული პერსონალის სივრცეები.

თანამედროვე სტანდარტის სპორტულ კომპლექსში, სპორტსმენთა და მოყვარულთა ფიზიკური მომზადების გარდა, შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ტურნირებისა და შეჯიბრებების გამართვა.

მშენებლობის პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2 363 980 ლარით დაფინანსდა.

◎ ოქტაგონზე

# ქართული ერა

**UFC-ში ქართველ მებრძოლთათვის წარმატებული პერიოდია. ილია თოფურიასა და მერაბ დვალიშვილის შემდეგ, ამჯერად რომან დოლიძემ გვასახელა. მართალია ჩხუბი ქამარზე არ ყოფილა, თუმცა 36 წლის ჩვენებურმა უმნიშვნელოვანესი გამარჯვება იზეიმა.**

დოლიძემ ორგანიზაციის საშუალო წონაში ამერიკელი **კევინ ჰოლანდი** დაამარცხა, რომელსაც ტექნიკური ნოკაუტით აჯობა და წარმატებათა სერია ზედიზედ მეორე მოგებამდე გაზარდა.

რომან დოლიძემ კარიერაში მე-14 გამარჯვება მიითვალა. UFC-ში კი ქართველის ანგარიშზე 8 გამარჯვება და 3 მარცხი დაგროვდა. აღსანიშნავია, რომ ბრძოლამდე რომანი საშუალო წონის რეიტინგში მე-10 ადგილზე იყო და ბუნებრივია ახლა წინსვლას უნდა ველოდოთ.

რაც შეეხება 31 წლის კევინ ჰოლანდს, მან კარიერაში 38 ბრძოლა ჩაატარა, რომელთაგანაც 26 მოიგო, გუშინ კი მე-12 მარცხი იგემა.



◎ ხალიჩის მიღმა

# ძალიანაც კარგი...

**ამ დღეებში ვლადიკავკაზში გამართულ საერთაშორისო ტურნირში სეპარატისტული რეგიონების ნაკრებებთან ერთად ქართველი მოჭიდავეებიც მონაწილეობდნენო – გვაუწყა მთავარმა არხმა და ეს ინფორმაცია სპორტულ ბლოკში კი არ მოგვაწოდა დასაზაფრავად, არამედ პოლიტიკურ სიახლედ შემოგვასაღა.**

ბუნებრივია, დაგვაინტერესა ფალავანთა ვინაობამ, მაგრამ ჩრდილოეთ ოსეთში გამგზავრებული 8 ჩვენებურიდან დიქტორმა მხოლოდ **გიორგი ელბაქიძე** დაასახელა და არც იმის აღნიშვნა დავიწყნია, რომ იგი ქვეყნის ჩემპიონი და ახალგაზრდული ევროპირველობის ბრინჯაოს პრიზიორია, ჯვაროსანთა მიერ სამეზობლოში ნაჩვენებ შედეგებზე კი კრინტიც არ დაუძრავს.

სამაგიეროდ, სიუჟეტის გასამძაფრებლად კორესპონდენტი მიავლინეს ჭიდაობის ფედერაციაში და გენერალურ მდივან **გეგელიას** ჩვეული უტიფრობით მოუწყვეს დაკითხვა თემაზე: იცოდით თუ არა, რომ ჩვენმა გუნდმა ოსურ ხალიჩაზე არაღიარებული სახელმწიფოების წარმომადგენელთა მხარდამხარ იასპარეზა და ვისი ნებართვით ჩავებით ტურნირშიო.

საწყალმა გენსეკმა ილუღლუღა, რას არ მიედ-მოედო, მაგრამ რადგან გარკვევით ვერაფერი თქვა და მომხდურისგანაც ვერაფრით ვერ შეძლო თავის დაღწევა, საკითხი ღიად დარჩა, სიცხადის შეტანა კი ჩვენ ვცადოთ.

უპირველესად, ამაზრზენია, რომ სამშობლოს პრესტიჟის დაცვას იმ უსამშობლოთა კანტორის რუპორი ცდილობს, ლომის წილი რომ დაიდო ძირძველი ქართული მიწა-წყლის, ვიმედოვნებთ, დროებით დაკარგვაში და საამისოდ, 2008 წლის აგვისტოს ომის ინსპირირებაზე რომ არაფერი ვთქვათ, მოძმე ერების პოტენციური დაახლოებისა და ჩატეხილი ხიდის აღდგენის სიმბოლო – ერგნეთის ბაზრობა მოშალა.



არანაკლებ საგანგაშოა ის ქვეტექსტი, ერთ-ერთ ეპიზოდში რომ გაიჟღერა ეკრანიდან – ღონისძიება კლასიკური ოსური ჰანგების ფონზე გაიხსნაო. ჯერ ერთი, აბა, რომელი მუსიკისთვის უნდა ეცათ თავმოყვარე მასპინძელ ორგანიზატორებს პატივი და, მეორეც – თვით საქართველოში, რა, უკვე აკრძალულია „სიმდი" და სხვა იქაური პოპულარული მელოდიები თუ როგორაა საქმე? იმით მაინც დაინტერესდით, ჩვენი საამაყო ქორეოგრაფიიდან თუ ფოლკლორიდან გაქრა თუ არა დასახელებული მარგალიტები.

რაც შეეხება ქართული ეროვნული ატრიბუტიკით სეპარატისტთა მხარდამხარ ასპარეზობას, ნუთუ ძნელი მისახვედრია, რომ ხუთჯვრიანი დროშით მტრის ბუნაგში, თუნდაც სპორტულ სარბიელზე, ბრძოლა ჩვენს ღირსებასა და ვაჟკაცობაზე მეტყველებს?

სხვათა შორის, მაშინ, როცა მმართველი პარტია ერთ-ერთ წინასაარჩევნო პრიორიტეტად ოსებთან და აფხაზებთან შესარიგებლად შემხვედრი ნაბიჯების გადადგმას გვთავაზობს, რატომღაც ყველას ავიწყდება, რომ, **დავით სოსლანის** ფაქტორით დაწყებული, ვლადიკავკაზში მოქმედი ქართული სკოლით ვიწონებდით თავს და სწორედ იქ დაიბადა უწმინდესი და უნეტარესი **ილია მეორე.**

ვფიქრობთ, საკმარისი არგუმენტებია საიმისოდ, რომ ბუზისგან სპილოს ძებნას შევეშვათ და ურთიერთობების დასათბობად მსგავსი კონტაქტები გამოვიყენოთ, ამიტომ ამ შემთხვევაში ნაკლებად საინტერესოა, ვისი ნებართვით გაემგზავრა ჩვენი დელეგაცია ჩრდილოეთ ოსეთში.

წერილს კი ახლო წარსულში მცირე ექსკურსით დავასრულებთ და მრავლისმთქმელ ამბავს გაგიზიარებთ: როგორც სახელოვან ფალავანთა აღმზრდელისა და თავადაც ხალიჩის დიდოსტატისგან – **შურა მაისურაძისგან** მსმენია, თურმე პირწავარდნილი სეპარატისტი **კოკოითი** მოჭიდავე ყოფილა და ჭაბუკთა შორის საქართველოს ჩემპიონი პირველად ონის სპორტდარბაზში გამხდარა.

ეს ისე, ცნობისთვის.

**გია პლატონიშვილი**

◎ ლეგიონერები

# მთავარია ტაბლო

**სანაკრებო პაუზის წინ სამმა ქართველმა ლეგიონერმა ერთდროულად ითამაშა და პოლონურ შეკრებაზე პარტნიორებს დაუმარცხებელნი შეუერთდნენ, თუმცა, მათი ნადავლი განსხვავებულია.**

კერძოდ, თუ **გიორგი მამარდაშვილის** ვალენსიამ და **ბუდუ ზივზივაძის** კარლსრუემ, შესაბამისად, ესპანეთის ლა ლიგასა და გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში ლეგანესთან და დარმშტადტთან ქულები დაკარგეს – 0:0 და 3:3, **ხვიჩა კვარაცხელიას** ნაპოლიმ შინ მძიმე ბრძოლაში კომო დაამარცხა – 3:1 და 7 ტურის შემდეგ იტალიის სერია – ა-ში ლიდერობა შეინარჩუნა – 16 ქულა.

უკვე მერამდენედ გვიწევს **ანტონიო კონტეს** ტაქტიკურ მიღწევებზე საუბარი, რომელიც ტურნირის მსვლელობაში აშენებს ახალ ნაპოლის და შეხვედრიდან შეხვედრამდე გვაოცებს სამწვრთნელო მიგნებებით. მართალია, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ამას გარკვეულწილად სანახაობრივი მხარე ეწირება, მაგრამ აქსიომის თანახმად, მთავარი ტაბლოა, ამ მხრივ კი კამპანიელთა ქომაგებს სასაყვედურო ჯერჯერობით ცოტა თუ აქვთ.

როგორც ყველას, ახალი დამრიგებლის პროფესიული კრედო მეტნაკლებად ხვიჩასაც შეეხო, რომელიც სტახანოვური ტემპებით ყალიბდება უნივერსალად და ვიდრე მის ტრანსფორმაციას რიგითი გულშემატკივრის თვალი შეამჩნევს, სპეციალისტები და ონლაინ-გამოცემები მაღალ შეფასებებს უკვე აღარ იშურებენ.

გამონაკლისს არც აღნიშნული მატჩი წარმოადგენდა, რომლის ერთ ეპიზოდშიც მსაჯმა კვარას მიერ შექმნილი საპენალტო სიტუაცია გაატარა, თუმცა მთლიანობაში ხვიჩამ კოლოსალური შავი სამუშაო შეასრულა და კიდევ ერთხელ მოიგო პრეტენზიული თავკაცის გული.

ამავე დროს, ისიც სათქმელია, რომ ჩვენმა იმედმა ასევე უნდა გააგრძელოს, თორემ ბრაზილიელი **ნერეშის** სახით, რომელმაც ამჯერადაც გოლით აღნიშნა რეზერვისტობა, სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა.

ლეგიონერებზე კი ვისაუბრეთ, მაგრამ არანაკლებ საინტერესოდ ვითარდება მოვლენები კრისტალზეთ ეროვნულ ლიგაში, სადაც, რასაკვირველია, ასევე გამოცხადდა ორკვირიანი სანაკრებო შესვენება.

საშუალედო ფინიშს ლიდერის რანგში ქუთაისის ტორპედო შეხვდა, რომლის დაწინაურებასაც მნიშვნელოვანწილად ნორვეგლიელი ბომბარდირის **იონსენის** შედეგიანი თამაში განაპირობებს.

მოგეხსენებათ, როცა ხაზს რიონისპირელთა სკანდინავიელი სნაიპერის მიერ პარტნიორთა წარმატებებში შეტანილ გამორჩეულ როლს ვუსვამთ, არც გუნდის ბრიტანელ თავკაცს – **სტივ კინსა** და განსაკუთრებით – კლუბის მფლობელს – ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს (რექტორი – პროფესორი **გიორგი ბარკალაია**) უნდა დავუკარგოთ ქუთათურთა პროგრესში შეტანილი სოლიდური წვლილი.

სხვათა შორის, ამ დღეებში ბატონ გიორგის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე შეუსრულდა, რასაც სულითა და გულით ვულოცავთ!

თითქოს წერტილი აქ უნდა დაგვესვა, მაგრამ შაბათს საფრანგეთის ლიგა – 1-ში მომხდარმა ისტორიულმა ფაქტმა რამსები სასიკეთოდ აგვირია.

ვგულისხმობთ ტოპ-5 ქვეყნების უმაღლეს დივიზიონებში **ალექსანდრე იაშვილის** შემდეგ ქართველი ფეხბურთელის – **ზურიკო დავითაშვილის** მიერ სენტ-ეტიენის შემადგენლობაში შესრულებულ მეორე ჰეთ-თრიქს უშუალო კონკურენტის – ოსერის წინააღმდეგ – 3:1, მისი სეზონური პირადი მონაგარი კი 3 გოლსა და 2 შედეგიან გადაცემამდე გაიზარდა. იმავე დღეს **გიორგი გველესიანმა** ირანში გაიტანა გამარჯვების გოლი.

და ბოლოს – ის, რითაც წერილი დავიწყეთ: 11 ოქტომბერს პოლონეთის ქალაქ პოზნანში ტრავმებით გატანჯულ უკრაინასთან და 14 ოქტომბერს თბილისში ალბანეთთან ჯვაროსანთა ფრანგი მწვრთნელი **ვილი სანიოლი** შეგირდებს თბილისის საპატიო მოქალაქის რანგში დამოძღვრავს. სტიმული თუ გნებავთ, სწორედ ესაა, ამიტომ მადლობა აღნიშნული იდეის ავტორებს. დიახ, ყველას შრომა უნდა დაფასდეს, ვინც იმსახურებს!

ეს თანაბრად ეხებათ ქართული მხატვრული ტანვარჯიშის ლეგენდას **ნელი სალაძეს,** ლელოელ ბერმუხას **თენგიზ გაჩეჩილაძეს,** გინესის რეკორდების ტრფიალს **გვანჯი მანიას,** საქართველოს ოლიმპიელთა და მორაგბეთა ნაკრებების ექიმებს **ზურაბ კახაბრიშვილსა** და **გიორგი ჭუმბურიძეს,** რომლებიც ასევე გამოარჩიეს თბილისქალაქობის დღესასწაულზე. ვულოცავთ.

◎ ევროლიგა

# სოლისტის ფაქტორი

**ახალი სეზონის საკალათბურთო ევროლიგის სტარტზე ჩვენთვის საინტერესო მოვლენები, იტალიაში განვითარდა, სადაც ვირტუსი სასტარტო გამოცდას ეფესთან აბარებდა.**

პირდაპირ მოვჭრით – ბოლონიელები ჩაიჭრნენ – 67:76, არადა, ლუკა ბანკის გუნდმა ბრძოლა ღირსეულად დაიწყო, პირველი პერიოდი 21:15 მოიგო და დიდ შესვენებაზე თანაბარი ანგარიშით – 36:36 გავიდა.

სიმბოლურია, რომ მატჩი **თორნიკე შენგელიას** შედეგიანი ასისტით დაიწყო და საერთოდაც იტალიური კლუბის ქართველი ლიდერი პარტნიორთაგან სტატისტიკით მხოლოდ 16-ქულიან პარიზის ოლიმპიადის ფრანგ ვიცე-ჩემპიონს კორდილიეს ჩამორჩა – 12 ქულა.

აქვე გაუწყებთ, რომ **დუდუ დადიანის** მემორიალი ვიქტორ სანიკიძის აკადემიის გუნდმა მოიგო.

# მარტო ჯარიმებით არაფერი გამოვა



**ბატონო რედაქტორო!**

**თქვენი გაზეთი მუდამ ეხმაურება ქვეყნისა და დედაქალაქის საჭირბოროტო საკითხებს, ცდილობს სახელმწიფოსა და ქალაქის მესვეურთ, სხვადასხვა უწყებათა ხელმძღვანელებს პრობლემების გადაჭრის გზების გამოძებნაში დაეხმაროს. თბილისისთვის ერთ-ერთ ასეთ საჭირბოროტო საკითხს ეხებოდა თქვენი გაზეთის ამა წლის 27 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული ჟურნალისტ ზექა დანელიას წერილი, რომელიც ქალაქში სადისტრიბუციო სატვირთო ტრანსპორტის დროებით პარკირებასა და ამის გამო ბიზნესის გარკვეული სეგმენტის უკმაყოფილებას ადასტურებდა.**

საქმე ეხება, კერძოდ, სავაჭრო ქსელის მაღაზიებისთვის პურპროდუქტების მიწოდების ერთობ მნიშვნელოვან საკითხს. პური და პურპროდუქტები უწინაც და ახლაც იყო და არის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მალფუჭებადი პროდუქტი, რის გამოც ვაჭრობის ობიექტებისთვის მიწოდების განსაკუთრებულ რეჟიმს საჭიროებს. ხშირ შემთხვევაში მაღაზიებს ის დღეში ორ-სამჯერ მიეწოდება ხოლმე.

უწინ მოქმედებდა „პურფუნთუშეული ნაწარმის სავაჭრო ობიექტებისთვის მიწოდების განსაკუთრებული წესები“, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ იყო დამტკიცებული. ამ დოკუმენტით განსაზღვრული იყო პურის მიღების დრო, გრაფიკი, დისტრიბუტორის პასუხისმგებლობა და სადისტრიბუციო პირობები. მეტიც: თავისი წილი მოვალეობა მაშინდელ საგზაო ავტოინსპექციასაც ჰქონდა დაკისრებული, რომლის თანამშრომლებს ხელი უნდა შეეწყოთ პურის გადამზიდველი სადისტრიბუციო მანქანებისთვის.

მაშინ ამ მხრივ საქმე ნამდვილად მოწესრიგებული იყო. ახლა კი ყველა სავაჭრო ობიექტი თავისთვის და მიმწოდებლისთვის ხელსაყრელი გრაფიკით მუშაობს, რაც მთელ ქალაქში აშკარად არაპროგნოზირებად სამოძრაო პირობებს ჰქმნის ისედაც ვიწრო, მანქანებით გადაჭედილ ქუჩებში, რაც კიდევ უფრო მეტად ართულებს ისედაც მეტად მძიმე სატრანსპორტო ვითარებას.

ამიტომაც, ვფიქრობ, რომ ამ საკითხის მოსაწესრიგებლად, აუცილებელია სათანადო სადისტრიბუციო წესების შემუშავება ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური მონაწილეობით და შენიშვნის გათვალისწინებით, რაც აუცილებლად საქმის პროფესიონალებმა უნდა გააკეთონ, კერძოდ მაღაზიები დილით უფრო ადრე უნდა იღებოდეს, აუცილებელია ტაქსებთან ერთად ყვითელ ზოლში პურის მანქანაც დაიშვას (სპეციალიზებული სათანადო ნიშნით! აუცილებელია დიდ ქსელებში დისტრიბუცია ღამის საათებში განხორციელდეს, ეს მოხსნის დილის საათებში გადატვირთვას, ხომ არ შეიძლება ყველა ერთად დილით მოძრაობდეს.

**თუ ეს პრობლემა მოგვარდება, მერწმუნეთ, ბევრად გაუმჯობესდება პურის დისტრიბუცია, მარტო ჯარიმებით არაფერი გამოვა.**



**მალხაზ დოლიძე,**
**საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე, ინჟინერ-ტექნოლოგი, ტექნოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.**

## სულთათანა

# ალექსანდრე რობიტაშვილი



გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ღვაწლმოსილი ემერიტუს-პროფესორი **ალექსანდრე (ალიკ) გიორგის ძე რობიტაშვილი.**

ალექსანდრე რობიტაშვილის პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა მთლიანად იყო დაკავშირებული პოლიტექნიკური ინსტიტუტის (შემდგომ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) ჯერ კავშირგაბმულობის, შემდეგ ამავე უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტთან. ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის რადიოფიზიკის სპეციალობის დამთავრების შემდეგ, 1964 წელს ახალგაზრდა სპეციალისტმა მუშაობა დაიწყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ახლად ჩამოყალიბებული რადიოტექნიკის კათედრაზე ასისტენტად. შემდეგ გაიარა გზა უფროსი მასწავლებლიდან დოცენტამდე და პროფესორამდე. 1982 წელს ქ. ერევანში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

ა. რობიტაშვილს დიდი როლი მიუძღვის 1974 წელს კავშირგაბმულობის ფაკულტეტის ჩამოყალიბებაში, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (1974-1981 წ.წ.), იყო რა ამ ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. 1981-1991 წლებში იყო თბილისის საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, 2000-2004 წლებში – ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ტელეკომუნიკაციის დეპარტამენტის უფროსი. 2020 წელს ის აირჩიეს ემერიტუს-პროფესორად.

ბატონ ალეკოს ჰქონდა სტუდენტებთან მუშაობის განსაკუთრებული ხიბლი. იყო გულწრფელი ყველა სტუდენტისა და კოლეგის მიმართ, უბრალო მეგობარი, კარგი მოსაუბრე და იუმორით დაჯილდოებული პიროვნება. ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის განმავლობაში მან აღზარდა სტუდენტთა და ახალგაზრდა სპეციალისტთა რამდენიმე თაობა.

ბ-ნ ალეკოს დარჩა შესანიშნავი შვილები და შვილიშვილები. შვილები განაგრძობენ მის გზას ტელეკომუნიკაციის მიმართულებით.

ალეკო რობიტაშვილი მუდმივად დარჩება ჩვენს ხსოვნაში, როგორც საუკეთესო მეგობარი და პედაგოგი.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ციფრული სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი**

# FDA-მ შიზოფრენიის სამკურნალო მედიკამენტი დაუშვა

**აშშ-ის სურსათისა და წამლების ადმინისტრაციამ (FDA) შიზოფრენიის სამკურნალო ახალი პრეპარატი დაამტკიცა. Cobenfy-ის სახელწოდების მქონე მედიკამენტი ორ განსხვავებულ წამალს აერთიანებს. ის სხვა ანტიფსიქოტიკებისგან განსხვავებულია და ეს დაავადების ალტერნატიული მკურნალობის საშუალებას იძლევა.**

შიზოფრენია დიაგნოზია, რომელსაც ფსიქოზის გარკვეული დონე მოჰყვება. ეს შეიძლება შეიცავდეს ჰალუცინაციებსა და პარანოიას.

ამ სიმპტომების შესამსუბუქებლად შეიძლება დაინიშნოს ანტიფსიქოზური საშუალებები. როგორც წესი, შიზოფრენიის სამკურნალო მეთოდები ფოკუსირებულია დოფამინზე, ტვინში სასიცოცხლო მნიშვნელობის ნეიროტრანსმიტერზე. ფსიქოზის შემთხვევაში, შეიძლება დოფამინის დისბალანსი ხდებოდეს, ამიტომ ანტიფსიქოზური მედიკამენტები მსგავსი ბალანსის დასაბრუნებლადაა შემუშავებული.

თუმცა, ამ ყველაფერს შეიძლება მოჰყვეს უსიამოვნო გვერდითი ეფექტები და ისიც ფაქტია, რომ ასეთი მედიკამენტები ყველაზე არ მოქმედებს. სწორედ ამიტომ, მეცნიერები უფრო ახალი და უკეთესი მედიკამენტების შესამუშავებლად მუშაობენ.

ამ ძალისხმევის ფარგლებში, 2023 წელს, ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტის მეცნიერების მიერ ჩატარებულმა კვლევამ აღმოაჩინა, რომ სტანდარტული მედიკამენტები — რომლებსაც ათწლეულების განმავლობაში იყენებდნენ – რეალურად მოქმედებს სრულიად განსხვავებული ტიპის ტვინის უჯრედებზე, ვიდრე ადრე ეგონათ.

„ითვლებოდა, რომ ანტიფსიქოზური პრეპარატები ძირითადად ისეთ ნეირონებზე ზემოქმედებდა, რომლებიც D2 დოფამინის რეცეპტორებს გამოხატავს. რეალურად, ამ ყველაფერს ისეთ ნეირონებზე ჰქონდა ზემოქმედება, რომლებიც D1 დოფამინის რეცეპტორებს გამოხატავს“, – აღნიშნული იყო 2023 წლის კვლევაში.

ახალი მედიკამენტი ქსანომელინისა და ტროსპიუმის ქლორიდის წამლების კომბინაციაა, რომელიც ახლა ბაზარზე Cobenfy-ის სახელით გამოჩნდა. ის რეცეპტორების სხვა კლასზე, ქოლინერგულ რეცეპტორებზეა მიმართული.

„ათწლეულებია შიზოფრენიის სამკურნალო ახალი მიდგომა არ გვქონია. ეს წამალი სწორედ ასეთია, რაც ახალ შესაძლებლობებს აჩენს“, – თქვა დოქტორმა ტიფანი ფარქიონემ, ფსიქიატრიის განყოფილების დირექტორმა.

მედიკამენტის მიღება კაფსულის სახით შეიძლება და ის კომპანია Bristol Myers Squibb-მა შეიმუშავა.

კლინიკურ კვლევებში დადგინდა, რომ პრეპარატი უსაფრთხო და ეფექტიანია. იმ პაციენტებს, რომლებიც მედიკამენტს იღებდნენ სიმპტომები მნიშვნელოვნად შეუმცირდათ. ეს მოხდა სერიოზული გვერდითი ეფექტების გარეშე. მიუხედავად ამისა, იყო გარკვეული გვერდითი ეფექტიც, რომელმაც კუჭისა და მონელების მცირე პრობლემები გააჩინა. ასევე აღნიშნულია, რომ პრეპარატი არ არის რეკომენდებული ღვიძლისა და თირკმლების დაავადებების მქონე ადამიანებისთვის.

აშშ-ში დაახლოებით 2.8 მილიონი ადამიანი შიზოფრენიითაა დაავადებული.

„შიზოფრენიით დაავადებული ადამიანებისთვის რთულია შესაბამისი მკურნალობისთვის მიგნება. მკურნალობის სხვადასხვა ვარიანტების ქონა პაციენტებსა და ჯანდაცვის პროვაიდერებს ახალ ინსტრუმენტს მისცემს. ეს ამ დაავადების სამართავად მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია“, – აღნიშნეს მკვლევრებმა.



# აზარტული „ავადმყოფების“ დოლი!

## შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაში აზარტულ და მომგებიან თამაშობებზე დამოკიდებული 20 369 ფიზიკური პირია დარეგისტრირებული



**ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემებით, ონლაინ სათამაშო ბიზნესის გამკაცრებული რეგულაციების შედეგად, 2022 წლის პირველი მარტიდან დღემდე დამოკიდებულ პირთა მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში რეგისტრირებულია 20 369 ფიზიკური პირი, აქედან მოსამართლის ბრძანების საფუძველზე – 54, ხოლო თავად პირის მომართვით – 20 315 განაცხადი.**

ამასთან, „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, აკრძალულ პირთა სიაში ავტომატურ რეჟიმში შეყვანილია 1 522 900 პირის შესახებ მონაცემები.

„შემოსავლების სამსახური შეგახსენებთ, რომ „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილება 2022 წლის პირველი მარტიდან განხორციელდა.

აქვე გაცნობებთ, რომ დამოკიდებულ პირთა სიაში საკუთარი მონაცემების შეტანის შესახებ განაცხადის წარდგენა შესაძლებელია, როგორც მატერიალური ფორმით, ასევე ელექტრონულად – ავტორიზებული მომხმარებლის გვერდიდან – „დამოკიდებულ პირთა სიაში მონაცემის შეტანა“.

თუ პირი არ არის რეგისტრირებული შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე მას შეუძლია, ონლაინ ფორმატში მიიღოს აღნიშნული მომსახურება ვებგვერდის საშუალებით.

ვიდეოზარით რეგისტრაციის მომსახურების მიღება შესაძლებელია, როგორც საკუთარი სახელით, ასევე მინდობილი პირის მეშვეობითაც, სამუშაო დღეების განმავლობაში – 09:00 საათიდან 18:00 საათამდე“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

# რამპის კაშკაშა შუქზე

## ენრიკო ჯანელიძის „სულიერი ჰანგები“



**ხანგრძლივ, წარმატებულ შემოქმედებით კარიერაში ჩვენი ესტრადის ვარსკვლავს, ქართული როკ-ნ-როლის მეფეს, მაყურებლის უსაყვარლეს მომღერალს ენრიკო ჯანელიძეს უთვალავი წარმატებული კონცერტი გაუმართავს სამამულო თუ უცხოეთის საესტრადო სცენებზე.**

**ამ მხრივ გამონაკლისი არც 19 სექტემბერს ვახტანგ სალარიძის სახელობის ხალხით გაჭედილ საკონცერტო დარბაზში გამართული მისი კონცერტი იყო, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად მომღერალმა მეგობარი მუსიკოსები და მომღერლებიც მიიწვია, თუმცა კი მას განსაკუთრებული – საიუბილეო ელფერი ახლდა.**

ენრიკო ჯანელიძის საიუბილეო კონცერტის პროგრამაში შევიდა ქართველ და უცხოელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები, ასევე ჩართული იყო მისი სიმღერების ვიდეოკლიპები. კონცერტში, რომელიც ჩვეული ხიბლით მიჰყავდა **ნუგზარ კვაშალს**, მონაწილეობა მიიღეს ანსამბლმა **„რუსთავმა“**, **ოთარ მაღრაძემ, ვახტანგ ტატიშვილმა, გურამ ჯაშმა, მიშიკო ზაქარიაშვილმა, ბიძინა მახარაძემ** და ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა **„კრწანისმა“**. პოეტმა **ერეკლე საღლიანმა** იუბილარს საკუთარი ლექსი მიუძღვნა, გარდა ამისა, ენრიკო ჯანელიძის ღვაწლი ქართულ საესტრადო ხელოვნებაში კიდევ ერთხელ სათანადოდ დაფასდა. კერძოდ, შ. რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარემ **დავით შემოქმედელმა** მას გადასცა დიპლომი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭების შესახებ, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ **მაყვალა გონაშვილმა** – დიპლომი „მშვიდობის ალამდარის“ წოდების მინიჭების შესახებ.

როგორც თავად ენრიკო ჯანელიძისთვის, ასევე დამსწრე საზოგადოებისთვის მეტად ამაღელვებელი იყო ოსკარ შინდლერის სახელობის აკადემიის პრეზიდენტის **მარკ შავითის** მიერ საჩუქრის გადაცემა სიმბოლური სახელწოდებით „სულიერი ჰანგები“.

ენრიკო ჯანელიძის საიუბილეო კონცერტმა ჩაიარა ჩვეული წარმატებით, მაყურებელმა საოცარი სითბოთი მიიღო მისი ყველა შესრულებული ნომერი და ვიდეოკლიპი, ბოლოს კი ტაშის გრიალში გააცილა სცენიდან...

**ოთარ ტურაბელიძე**

# გაგრის დაცემის დღე...



პანაშვიდს აფხაზეთის მთავრობისა და დევნილი საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

**გაგრის დაცემის დღესთან დაკავშირებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრები და უმაღლესი საბჭოს დეპუტატები თბილისის ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში იმყოფებოდნენ.**

ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა ლევან ჯანაშიამ 1992 წელს გაგრაში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების დროს დაღუპულთა სულების მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადა.



# „როტონდა“ საზეიმოდ გაიხსნა



**თეატრალური ფესტივალი „როტონდა“ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და დაფინანსებით ხორციელდება.**

ფესტივალს 5 ოქტომბრიდან 12 ოქტომბრის ჩათვლით ერისთავის თეატრი მასპინძლობს.

პროექტის ფარგლებში, გორს თბილისის სხვადასხვა თეატრი სტუმრობს.

მაყურებელს ყველა ჟანრის სპექტაკლის ნახვის შესაძლებლობა ექნება.

გარდა სპექტაკლების ჩვენებისა, მოხდება განუხორციელებელი პიესების საჯარო კითხვა, შეხვედრები რეჟისორებთან და მსახიობებთან, ჩატარდება მასტერკლასები და ვორქშოფები.

12 ოქტომბერს კი საზეიმოდ გაიხსნება ერისთავის თეატრის დამსახურებული არტისტების **დარეჯან ჭამაურისა** და **კახა ბერიძის** ვარსკვლავები.

# კვერცხი, რომელმაც 10 საუკუნეს გაუძლო

**დაახლოებით ათასი წლის წინ იავნეში, ისრაელში, ქათამმა კვერცხი დადო. მან ნარჩენებში ამოყო თავი და ათი საუკუნე გაატარა აქ, სანამ 2021 წელს იგი არქეოლოგებმა არ იპოვეს და შემთხვევით არ გატეხეს.**

ისრაელის ანტიკვარიატის განყოფილების მკვლევრები იავნეში გათხრებს ატარებდნენ, რადგან ქალაქში მშენებლობის დაწყება იგეგმებოდა. არქეოლოგებს სურდათ, უკანასკნელი შანსით ესარგებლათ და წარსულის შესახებ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოეპოვებინათ. სწორედ ამ დროს ისინი, არც მეტი, არც ნაკლები, ქათმის კვერცხს გადააწყდნენ და მისი ამოღება გადაწყვიტეს.

დიდი ძალისხმევის შედეგად იგი მიწიდან უვნებელი ამოიტანეს. არქეოლოგები, როგორც წესი, მხოლოდ ცალკეულ ფრაგმენტებს პოულობენ ხოლმე, ამიტომ მთლიანი კვერცხის აღმოჩენა მათთვის განსაცვიფრებელი აღმოჩნდა.

როგორც ჩანს, კვერცხი მთელი ამ დროის განმავლობაში ხელუხლებელი იყო. იგი არათუ გატეხილა, არამედ არც კი დამპალა, რადგან საპირფარეშოში, რბილ ნარჩენებში, იყო ჩაგდებული; აქ იგი უჟანგბადო პირობებმა დაიცვა. გათხრებსაც კი უვნებელი გადაურჩა, თუმცა მისი მთლიანობა ბოლოს მაინც დაირღვა ისრაელის ანტიკვარიატის ლაბორატორიაში: 1000 წლის კვერცხი აქ შემთხვევით გაუტყდათ.

მიუხედავად ამისა, კვერცხზე დაკვირვების შემდეგ მეცნიერებმა შენიშნეს, რომ მისი შიგთავსი არ დაზიანებულა. მკვლევრებს მისი დნმ-ის გამოკვლევის საშუალება მაინც მიეცათ. მეტიც, მათ აღიარეს, რომ შეიძლებოდა, ანალიზისთვის კვერცხი მიზანმიმართულადაც გაეტეხათ. მკვლევრებმა შემდგომში ისიც დაამატეს, რომ სპეციალისტმა კვერცხის ნაჭუჭი აღადგინა.



# ორმხრივი სროლა ცხინვალში

**ოკუპირებულ ცხინვალში მომხდარი სროლის შედეგად დაჭრილი ე.წ ძალოვანი უწყებების 2 თანამშრომელი მძიმე მდგომარეობაში საავადმყოფოშია გადაყვანილი. როგორც Кавказский Узел-ი წყაროზე დაყრდნობით იტყობინება, სროლა ოკუპირებულ ქალაქში არსებულ კაფეს სიახლოვეს მოხდა, ე.წ მილიციისა და ე.წ თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელს შორის. მათი ასაკი 29-31 წელია.**

კაფე „მინასში“, რომლის მიმდებარედაც სროლა მოხდა, ე.წ ძალოვნები საგამოძიებო სამსახურის დღეს აღნიშნავდნენ. ინციდენტს წინ ჩხუბი უძღოდა.

ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის ე.წ პრეზიდენტმა ალან გაგლოევმა ე.წ სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელობას მომხდარზე საფუძვლიანი გამოძიების ჩატარება დაავალა.

ივლისში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ცეცხლი გაუხსნეს საოკუპაციო რეჟიმის ე.წ. ექსპრეზიდენტის ანატოლი ბიბილოვის ნათესავებს.

**უცხოური ვალუტის კურსი:**
**აშშ დოლარი - 2.7354; ევრო - 3.0177;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6031;**
**100 რუბლი - 2.8748; თურქული ლირა - 0.0799;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.6087;**
**1000 სომხური დრამი - 7.0700.**

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 10 ოქტომბერს**